

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო
ლიცეუმის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის

სოფიკო ცხელიშვილის პრაქტიკის კვლევის

ა ნ გ ა რ ი შ ი

საკვლევი თემა

კრიტიკული აზროვნების უნარ - ჩვევათა გაუმჯობესება საშუალო
საფეხურზე X კლასში

2018-2019 სასწავლო წელი

სარჩევი

N 1. შესავალი.....	2
N 2. თემის აქტუალობა.....	2
N 3. პრობლემის ანალიზი.....	4
N 4. მიზანი	6
N 5. სამიზნე ჯგუფი	6
N 6. ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
N 7. საკვლევი კითხვები.....	14
N 8. კვლევის მეთოდები	15
N 9. მონაცემთა ანალიზი	15
N 10. ინტერვენციები.....	20
N 11. ინტერვენციის შეფასება	23
N12. რეკომენდაციები	25
N 13. დასკვნა	26
N 14. რეფლექსია.....	26
N 15. ბიბლიოგრაფია	28
N 16 დანართები	28

N 1. შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სოფიკო ცხელიშვილის პრაქტიკის კვლევით ანგარიშს თემაზე: „კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევათა გაუმჯობესება საშუალო საფეხურზე X კლასში“. მუშაობა კვლევაზე დავიწყე ნოემბრიდან, მიმდინარეობდა მაისის თვის ჩათვლით, ჩემი კვლევის წინაპირობას ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმოადგენდა დაკვირვება და მცირე კვლევითი საქმიანობები, რომელმაც საბოლოო ჯამში ჩამოაყალიბა და დღის წესრიგშიც დადგა საკვლევო თემის აუცილებლობა: უპირველეს ყოვლისა, პრობლემის გამოკვეთის შემდეგ, მიზნობრივად შევარჩიე კვლევის მეთოდები, როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი, რაც კიდევ ერთხელ დამეხმარა პრობლემის გაანალიზებაში, დავგეგმე და განვახორციელე შემდეგ ეტაპზე ინტერვენციები, გავეცე რეკომენდაციები, რათა ჩემმა კვლევამ დახმარება გაუწიოს სხვა პედაგოგებსაც.

N 2. თემის აქტუალობა

განათლების სპეციალისტები თვლიან, რომ XXI საუკუნის ადამიანისათვის კრიტიკული აზროვნება სასიცოცხლოდ აუცილებელია, ინფორმაციული ინდუსტრიის ეპოქაში ჩვენ ყოველდღიურად გვიწევს მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. ინფორმაციის მიღების პროცესში თითოეულ მოქალაქეს პერმანენტულად უწევს სწრაფად ცვალებად გარემოში არჩევანის გაკეთება, მრავალრიცხოვანი ფაქტები ჩვენი რეალობიდან ადასტურებს, რომ სწავლების ისეთი ფორმების არსებობა, რომლებიც დაეხმარება ადამიანს უფრო პროდუქტიულად იაზროვნოს, დღევანდელი გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. კრიტიკული აზროვნება აზროვნების მაღალი დონეა, რომელიც თანდაყოლილი უნარი არ არის და ვითარდება პედაგოგის დახმარებით. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანით მანიპულირება თითქმის შეუძლებელია.

ისმის კითხვა: რა არის კრიტიკული აზროვნება?

ექსპერტები გამოყოფენ კრიტიკული აზროვნებისათვის დამახასიათებელ კონკრეტულ კოგნიტურ უნარ-ჩვევებს. ძირითადი უნარ-ჩვევების რიცხვში არის ანალიზის, შეფასებისა და დასკვნების ფორმულირების უნარი. ასევე მნიშვნელოვანია ინტერპრეტაციის, განმარტებისა და თვითრეგულაციის უნარი.

კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კონცეფცია ეკუთვნის ამერიკელ პედაგოგს რ. ენისს. მან ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა კრიტიკული აზროვნებისათვის მზაობის, განწყობის, შინაგანი მოტივაციების სისტემა, რომელიც აზროვნების „ხარისხს“ განაპირობებს. ის თვლის, რომ მოაზროვნე ადამიანი უნდა:

1. ზრუნავდეს იმაზე, რომ მისი შეხედულებები და გადაწყვეტილებები იყოს დასაბუთებული;

2. ფლობდეს როგორც საკუთარი, ასევე სხვისი პოზიციის ნათლად წარმოდგენის უნარს;
3. პატივს უნდა სცემდეს თანამოსაუბრის აზრსა და ღირსებას;

ამ უნარ-ჩვევების განვითარების შედეგად მოსალოდნელი იქნება შედეგებიც, როგორცაა:

1. ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი;
2. სხვა თვალსაზრისების განხილვის უნარი;
3. მისწრაფება მრავალმხრივი ცოდნისა და საკუთრი თვალსაწიერის მუდმივი გაფართოებისაკენ;
4. ნათლად და ზუსტად აღიქვამს ნათქვამისა და დაწერილის არსს, სიტუაციის თავისებურებების გათვალისწინებით;
5. შეძლებს კონცეტრაციას საკითხსა და დასკვნებზე, შეეცდება არ ასცდეს ძირითად თემებს;
6. ეძებდეს და წარმოადგენდეს დასაბუთებულ მოსაზრებას;
7. შეძლებს სხვის მოსმენასა და გაგებას;
8. კარგად იაზრებს საკუთარ პოზიციას;

საერთაშორისო კვლევები წიგნიერებაში, რომლებშიც საქართველომ ბოლო ათი წლის განმავლობაში მიიღო მონაწილეობა, გვიჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყანა, წერისა და კითხვის მონაცემებით, მსოფლიოს ქვეყნების ჩამონათვალის ბოლო ათეულშია. წიგნიერების დონე მხოლოდ წაკითხული წიგნების რაოდენობით არ განისაზღვრება, მნიშვნელოვანია კითხვის სტრატეგიების დაუფლება, რომლის არცოდნაც მეთოდური პრობლემაა. განათლების ექსპერტები თვლიან, რომ მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბება მთვარი.

მეცნიერები თანხმდებიან, რომ გამოსავალი პერსპექტივაზე გათვლილ განათლებაშია, რომელსაც საფუძვლად უნდა ედოს ორი პრონციპი: 1. ინფორმაციის მზარდ ნაკადში სწრაფი ორიენტაციის და საჭირო მასალის მოძიების უნარი; 2. სწორად გაიაზრონ და გამოიყენონ მიღებული ინფორმაცია, აუცილებელია ინფორმაციის გაცხრილვა, წესრიგში მოყვანა: მნიშვნელოვანის გამოყოფა, ანალიზი, ინტერპრეტაცია და გათავისება;

მნიშვნელოვანია ასევე საქართველოში წიგნიერების საერთაშორისო კვლევის PIRLS-2016-ის შედეგები. ამ კვლევის მიზანია შეაფასოს მოზარდების წაკითხულის გააზრების უნარი და ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა წიგნიერებაზე. 2006 და 2011 წლებში ქართველმა მოსწავლეებმა არც თუ ისე სახარბიელო შედეგები აჩვენეს. კერძოდ: მსოფლიოს 45 ქვეყანას შორის, ქართველი მოზარდების წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი - 488 მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სკალირებულ მაჩვენებელს. 2011 წლის კვლევამ აჩვენა, რომ 2006 წელთან შედარებით, მიღწევები უმნიშვნელოდ, 17 ქულით გაუმჯობესდა. ჩვენი ქვეყანა 37-ე ადგილზეა. განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანები მსჯელობენ, თუ რამ გამოიწვია ეს შედეგები.

ზოგი სახელმძღვანელოების „დამახინჯებას“ აბრალებს, ზოგი ეროვნულ სასწავლო გეგმას განაპირობებს თუ არა ბავშვის წიგნიერებას და კრიტიკულ აზროვნებას მხოლოდ სწორად შერჩეული წიგნი და მასწავლებლის კომპეტენცია, სადავო საკითხია, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში PIRLS-ის კვლევის შედეგები საგანგაშოა და მისი გაუმჯობესება, როგორც სახელმწიფოს, ისე პედაგოგების ინტერესებში შედის.

დღემდე საქართველოში მოსწავლე-ახალგაზრდობის მიმართ ტრადიციული მოთხოვნაა, რომ დაისწავლონ, დაიმახსოვრონ, გაანალიზონ ფაქტები, გადაჭრან დასახული ამოცანები, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, არ ხდება იმის შეფასება, რამდენად შესწევთ ახალგაზრდებს ამ ცოდნის გამოყენების უნარი სხვადასხვა კონტექსტში, ან როგორ უნდა გააკეთონ ეს. XX საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდნენ ექსპერტები, თუ რა უნდა იყოს განათლების არსი. ახალი კონცეფციის მიხედვით, განათლების არსს, პირველ რიგში, უნდა წარმოადგენდეს: ინფორმაციის განხილვა, გააზრება, ათვისება და არა არასისტემატიზებული უნარ-ჩვევებისა და სწრაფად დაძველებადი ცნობების დაგროვება, უკვე ათწლეულის ბოლოს საშუალო და უმაღლესი განათლების დაწესებულებების სასწავლო გეგმებში კრიტიკული აზროვნების დანერგვის პროცესი საკმაოდ სწრაფი ტემპით განვითარდა. გადამზადებას გადიან სხვადასხვა საგნის პედაგოგები, რათა მიღებული ცოდნა დანერგონ საკლასო გარემოში და ხელი შეუწყონ კრიტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდების აღზრდას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სწორედ ამიტომ თემის აქტუალობა განაპირობა ამ ყოველივეს გაანალიზებამ და რეალურმა საჭიროებამ.

N 3. პრობლემის ანალიზი

ხანგრძლივი დაკვირვების საფუძველზე ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში აღმოვაჩინე N1 პრობლემა: კრიტიკული აზროვნების დეფიციტი. მე-10 კლასის პირველ სემესტრში შეისწავლება ერთნაირი თემატიკისა და ჟანრის ტექსტები. კერძოდ: ქართული სასულიერო მწერლობის ნაწარმოებები. ჰაგიოგრაფიული ტექსტების შესწავლისას უპირველესი სირთულე ძველი ქართული ტექსტის გაგებაა, ლექსიკური მასალა ართულებს წმინდანთა ცხოვრების ღვაწლის გააზრებას, მიზეზ-შედეგობრიობის კავშირის დადგენას.

უშუალოდ კლასთან თავიდანვე დიდი ძალისხმევა დამჭირდა იმისათვის, რომ კარგად გაეგოთ მოსწავლეებს რა არის მიზანი ჰაგიოგრაფიული მწერლობისა? რატომ სურს ჰაგიოგრაფ ავტორს, გვიამბოს წმინდანის ცხოვრების ან წამების შესახებ? ასევე სირთულეს წარმოადგენს ამ ასაკის ბავშვებმა გაითავისონ წმინდანის ღვაწლი, სულის საუკუნო სიცოცხლე წამებისა და შრომის შედეგად. ჰაგიოგრაფი გმირი ყველასათვის სამაგალითო და მისაბამია, სწორედ ამის დანახვა გაუჭირდათ მოსწავლეებს თავდაპირველად.

მაგალითად: „შუშანიკის წამების“ შესწავლის დროს, როცა ვხსნიდი II თავს, სადაც აღწერილია, თუ როგორ მიაბარა უფალს დედამ შვილები, თავად კი მოწამეობრივი ცხოვრების გზა აირჩია სულის საცხოვნებლად, მოსწავლეებს უამრავი კითხვა უჩნდებოდათ და ვერ ამართლებდნენ დედოფლის ამ საქციელს, ისინი ფიქრობდნენ, რომ დედის მოვალეობა ვერ

შეასრულა შუშანიკმა, როგორც დედას ამტყუნებდნენ ამ ქცევით. მათ უჭირდათ გაეაზრებინათ ის, რომ ძველი ქართული ლიტერატურის პერსონაჟების ქცევის ასპექტები უნდა განვიხილოთ იმ ეპოქის ფონზე, რომელშიც იგი იწერება, მხოლოდ ამგვარად შევძლებთ სრულად ავხსნათ გმირის ქცევის მოტივები, აუცილებელია ასევე მოვლენები სხვა კუთხიდანაც დავანახოთ. ასევე უჭირდათ დაენახათ მხოლოდ ტიპური ჰაგიოგრაფიისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რომლებიც ამ ძეგლს იმავე ჟანრის სხვა ნაწარმოებისაგან განასხვავებდა. მონაკვეთებზე დაკვირვებისას უმთავრესი, რაც ტექსტის შესწავლის დროს უნდა აღმოეჩინათ პედაგოგის ახსნისა და მითითების გარეშე, დაუძლეველი იყო. კერძოდ: წმინდანის გამოკვეთილ თვისებებთან ერთად ისინი მოწმე ხდებოდნენ, თუ როგორ იქცევა თუნდაც დედოფალი, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი მოკვდავი-წმინდანად, როგორ სძლევს ის თავის ადამიანურ ვნებებს და შეძლებს სასუფევლის დამკვიდრებას. შუშანიკი ხომ ჩვეულებრივი მოკვდავობიდან წმინდანად გარდაიქმნება მკითხველის თვალწინ.

„აბოს წამების“ შესწავლისას უფრო სხვა კუთხით წარმოჩნდა მოსწავლეთა აზროვნების დონესთან დაკავშირებული პრობლემები. ტექსტის I თავის პერიფრაზის გაკეთების შემდეგ, უმნიშვნელოვანესია იმ ოთხი ძირითადი მოტივის გამოყოფა, რომელზედაც ავტორი გვესაუბრება. გაუჭირდათ თავად გაეკეთებინათ ახსნა, რატომ იყო აბოს წამების აღწერა მნიშვნელოვანი კათალიკოსისათვის და რატომ დაავალა ეს იოანე საბანისძეს? რატომ აღწერს ავტორი ასე დაწვრილებით ქართლის მაშინდელ ყოფას? რატომ უსვამს ხაზს ავტორი იმას, რომ ქართველებს ქრისტიანობა 500 წელზე მეტია მიღებული აქვთ და რომ ბერძნებისას არ ჩამოუვარდებოდა?

ამ კითხვების ირგვლივ პრობლემის დანახვა, გამომწვევი მიზეზების ძიება და გადმოცემა, ისევ და ისევ რჩებოდა მოსწავლეთა სუსტ მხარედ.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის“ შესწავლისას სირთულე იყო პარალელების გავლება მსგავს ეპიზოდებთან, საერო და სასულიერო პირთა ურთიერთობის დანახვა და პარალელების დაძებნა წინა მასალიდან. მაგ: რა იყო „ შუშანიკის წამებაში“ აღწერილი კონფლიქტის საფუძველი და თუ არის ამგვარი მოტივები გრ. ხანძთელის ცხოვრებაში. უჭირდათ პერსონაჟთა შედარებითი დახასიათების დროს მსგავსი და განმასხვავებელი თვისებების დაჯგუფება. ვერ ყოფდნენ ავტორის მიზანდასახულობასა და პერსონაჟთა მიმართ დამოკიდებულებას. ასევე ვერ ამოიცნობდნენ პერსონაჟის როლს ნაწარმოებში, უჭირდათ პირადი დამოკიდებულების გამოკვეთა ამა თუ იმ პერსონაჟთა მიმართ. ანალოგიური პრობლემები დავაფიქსირე, როცა ვადარებდით გრ. ხანძთელსა და საბა იშხნელს, აშოტ კურაპალატსა და ბაგრატ კურაპალატს, ბერ ხუედიოსსა და გრ. ხანძთელს, ეპისკოპოსს ეფერემსა და კათალიკოს არსენს. სხვადასხვა ეპიზოდების გაანალიზების დროს ვერ უღრმავდებოდნენ პერსონაჟის ნათქვამს რა დატვირთვა ჰქონდა კონტექსტისათვის. მაგ: გაბრიელ დაფანჩული აღნიშნავდა გრ. ხანძთელთან საუბრისას, რომ გაეერთიანებინათ ძალები, სულიერი და მატერიალური სიმდიდრე შეეერთებინათ, ვერ ახსნეს ეს ჰარმონიულობა რისი მომცემი იქნებოდა საბოლოოდ. დავალებად მივეცი ტექსტიდან

მოეძიებინათ ადგილები, თუ როგორ მიმართავდნენ ერთმანეთს საერო და სასულიერო პირები (აშოტი- გრ. ხანძთელს, ბაგრატ მეფეს- საბა იმხნელი)? უნდა ემსჯელათ მათ ურთიერთობაზე აღნიშნული მონაკვეთის მიხედვით და გამოეთქვათ საკუთარი აზრი ამ სიტყვების მნიშვნელობასთან დაკავშირებით, გაეანალიზებინათ ფაქტორები. მასალაზე შემოაბისას გაუჭირდათ ვარაუდების გამოთქმა და მნიშვნელობათა ახსნა.

არგუმენტი 1: კადეტთა ლიცეუმი სპეციალური პროფილის სასწავლებელია, მოდიან სხვადასხვა რეგიონებიდან, დიაგნოსტიკებს ვერ ვუკეთებთ წინარე ცოდნის ხარისხს, მიიღებიან მხოლოდ ორი საგნობრივი დისციპლინით: მათემატიკითა და უნარებით. 60-70% - მდე უნარებში, სადაც საჭიროა არგუმენტირებული მსჯელობა, აქ არის დაბალი კომპეტენცია. არ აქვთ საბაზისო ცოდნა, აქვთ მოლოდინები, რომ აქ ჰუმანიტარული საგნები, კერძოდ, ქართული არ იქნება მაღალი მოთხოვნებით, ანუ მაღალი მოლოდინები და მზაობა უფრო მეტად არის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი. პრობლემას ასევე ართულებს ის გარემოებაც, რომ გაუცხოების დეფიციტი და კომუნიკაციის პრობლემაა, ახალი ჩარიცხულები არიან, უცხოდ გრძნობენ თავს თავდაპირველად და უჭირთ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, აღიარება და ჯგუფში ეფექტური კომუნიკაცია. სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა ჩემი საკვლევით თემის შერჩევა. ეს ყოველივე ვლინდება, რომ სასკოლო საჭიროების კვლევაა, თუმცა ამჯერად ჩემი სტატუსიდან გამომდინარე შემოვიფარგლები მხოლოდ I კლასით, საშუალო საფეხურის X კლასით.

N 4. მიზანი

კვლევის მიზანია კრიტიკულ აზროვნებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება, პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა, გაანალიზება, გამომწვევი მიზეზების ძიება-ანალიზი, მიზნობრივი ინტერვენციების განხორციელება და რეკომენდაციების შემუშავება.

N 5. სამიზნე ჯგუფი

კვლევისას შევარჩიე გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის 1-ლი სასწავლო კურსის (X კლასი) პირველი ჯგუფი.

სწავლება სსიპ.გენერალ გიორგი კვინიტაძის სახედრო ლიცეუმში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული დამატებითი სამხედრო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს.

N 6. ლიტერატურის მიმოხილვა

ვიდრე პრაქტიკული კვლევის ანგარიში საბოლოო სახეს მიიღებდა, გავეცანი მრავალფეროვან და საინტერესო ლიტერატურას.

კრიტიკულ აზროვნებაზე, უპირველეს ყოვლისა, ჩემი ყურადღება განსაკუთრებულად მიიქცია ინტერნეტ გაზეთის გვერდზე განათავსებულმა თამარ ტალიაშვილის სტატიამ „რატომ უნდა ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება?“ (maststavlebeli.ge-24 ნოემბერი, 2017 წ), ავტორი საინტერესო მოსაზრებებს წერს კრიტიკულ აზროვნებაზე. ის ცნობილი მკვლევრის დ. კლუსტერის მოსაზრებაზე დაყრდნობით გამოყოფს ხუთ ძირითად მახასიათებელს კრიტიკული აზროვნებისათვის.

1. კრიტიკული აზროვნება არის დამოუკიდებელი აზროვნება ანუ ინდივიდუალურია.
2. ინფორმაცია წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების საწყისს და საბოლოო პუნქტს.
3. კრიტიკული აზროვნება იწყება საკითხის წამოჭრითა და გადასაჭრელი პრობლემის გააზრებით.
4. კრიტიკული აზროვნება მიისწრაფვის სარწმუნო არგუმენტაციისათვის. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი პოულობს პრობლემის გადაჭრის საკუთარ გზას და ამყარებს საკუთარ გადაწყვეტილებას გონივრული არგუმენტებით.
5. კრიტიკული აზროვნება სოციალური მოვლენაა, რამდენადაც ყოველი მოსაზრების გამოცდა და დახვეწა ხდება მაშინ, როდესაც მას ვუზიარებთ სხვებს.

ტალიაშვილის აზრით, კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, ადამიანებს უნდა ჩამოუყალიბოთ ვარაუდების გამოთქმის უნარი, მცდარი აზრებიც უნდა გავანალიზებინოთ, შევაფასებინოთ საკუთრი თავი, სხვებიც სხვადასხვა პოზიციიდან, „განვიხილოთ ყოველი რელევანტური ფაქტი და გამოვიტანოთ დასკვნები მხოლოდ მათზე დაყრდნობით. მთავარია, შეგვეძლოს ყურადღებით და უარყოფითი განწყობის გარეშე მოვუსმინოთ მათ, ვისაც არ ვეთნხმებით“ - აღნიშნავს ავტორი და ასკვნის, რომ ასეთი მუშაობა კრიტიკული აზროვნების ათვისების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

აზროვნების სახეების შესახებ გავეცანი ცვატა ბერძენიშვილის სტატიას: „აზროვნების სახეები“ (maststavlebeli.ge-26 აპრილი, 2017 წ). განიხილავს თუ რა არის ზოგადად აზროვნება, რა სახის აზროვნებებს განიხილავენ ფსიქოლოგები, ის თვლის, რომ აზროვნება არის ინფორმაციის გადამუშავების პროცესი, რომლის მიზანია პრობლემის გადაჭრა, დასკვნების გამოტანა და გადაწყვეტილების მიღება. აზროვნების დროს ხდება ცოდნის გამოყენება და მანიპულირება სიტუაციის შესაბამისად. ამიტომაც სტატიაში განიხილავს თუ რა ტიპის მოაზროვნეები შეიძლება არსებობდნენ. „ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან აზროვნების სტილით და ეს კარგად ჩანს მათ საქმიანობაში, ზოგს პრაქტიკული საქმიანობა უფრო ეხერხება, ზოგს თეორიული ტიპისა ურჩევნია, ზოგი მშრალი თანმიმდევრული ლოგიკით მსჯელობას ამჯობინებს, ზოგისთვის კი ეს მთლიანად ხატად გაერთიანებული პროცესია. მოზრდილისა და ბავშვის აზროვნებაც განსხვავდება ერთმანეთისაგან; სხვადასხვა

კულტურის მატარებელთა აზროვნების წესიც არ არის ერთნაირი“-წერს ავტორი. განიხილავს კლასიკურ ფსიქოლოგიაში აზროვნების რა სახეები გამოიყოფა. ესენი:

1. პრაქტიკული ანუ მოქმედებით-ხატოვანი აზროვნება;
2. ხატოვანი აზროვნება;
3. ვერბალურ-ლოგიკური აზროვნება;

ასეთი კლასიფიკაციის კრიტიკულ საფუძვლად მიზეზსაც ასახელებს: ეს ეხება ბავშვის აზროვნების ონტოგენეზურ განვითარებას, რომელშიც კარგად ჩანს, როგორ ხდება მეტყველების დაუფლებასთან ერთად პრაქტიკულიდან ვერბალურ-ლოგიკურ აზროვნებაზე გადასვლა. ავტორი თვლის, რომ პრაქტიკული აზროვნება გულისხმობს აზროვნების ისეთ სახეს, როდესაც ამოცანის გადაწყვეტა ხდება თვით მოქმედების პროცესში, რეალური სიტუაციის გარდაქმნის ხარჯზე, ასეთი აზროვნება ახასიათებს ბავშვს, სანამ მეტყველებას დაეუფლება.

მოგვიანებით გავეცანი ნათია ვაჩეიშვილის სტატიას „ თანამედროვე აზროვნება და მისი როლი მოზარდის განვითარებაში“ (maststavlebeli.ge-2014 წ. 31 მარტი). მან უდიდესი როლი კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის დააკისრა ოჯახს, სახელმწიფოს და სკოლას. თვლის რომ ადამიანად ჩამოყალიბებაში სამი ინსტიტუტი მონაწილეობს. ერთნაირადაა გადანაწილებული პასუხისმგებლობაც, რაშიც ვეთხმები, მისაღებია ისიც, რომ ავტორი სკოლას უფრო დიდ როლს ანიჭებს, სკოლა აძლევს ადამიანს აღზრდას და განათლებას დემოკრატიული პრინციპების დაცვით, სვამს კითხვას: შესაძლებელია კი მივცეთ მოზარდებს განათლება აზროვნების სწავლის გარეშე? და თავადვე პასუხობს, მსჯელობს ამ კითხვის გარშემო. ეთხმება ფსიქოლოგებს იმაში, რომ სწავლა ჯერ კიდევ საბავშვო ბაღიდან უნდა დავიწყოთ, ვინაიდან ადრეულ ასაკში ბავშვები არიან ცნობისმოყვარენი და აქვთ მდიდარი წარმოსახვა. პიროვნების განვითარების მომდევნო ეტაპია სკოლა, ახალმისულისათვის სკოლა წარმოადგენს უხალისო გარემოს, რომელიც მკაცრი წესებით ცხოვრობს, იქ მისთვის ნაკლებადაა წარმოსახვის ადგილი. უმეტესად გარკვეული ხნის შემდეგ ბავშვი ინდიფერენტული ხდება, მისი წარმოსახვა დაღმავალი გზით იწყებს სვლას, ავტორი ამიტომ დიდი როლს ანიჭებს კურიკულუმის მნიშვნელობას. სკოლამ უნდა შეძლოს მისი დაინტერესება, პრაქტიკული ცოდნისა და თეორიული მასალის შერწყმით. განიხილავს სტანდარტული და რეფლექტური პარადიგმის მაგალითებს. პუნქტობრივად გამოყოფს მათ და გვამღერებს რჩევებს:

1. განათლების მისაღებად აუცილებელია აზროვნება, ფიქრი, განჭვრეტვა, წარმოსახვა, საზრიანობა;
2. ურთიერთობა მოსწავლეებთან და განსჯა;
3. ავტონომია;
4. უმაღლესი სინთეზის აზროვნება;

ასე ნაბიჯ- ნაბიჯ უნდა ზრუნავდეს მასწავლებელი მოსწავლის განვითარებასა და თანამედროვე აზროვნებისათვის საჭირო უნარების დაუფლებისათვის. „უმაღლესი დონის აზროვნება გახლავთ შემეცნებითი და მოქნილი აზროვნება. შემეცნებითი- იმიტომ, რომ მას

აქვს ალლო, სად ეძებოს ის შემეცნება, რომელიც სჭირდება; მოქნილი - იმიტომ, რომ მას შეუძლია, სისტემაში მოიყვანოს ის შემეცნება და რესურსები, რომლებიც მისთვის ეფექტურია“ - ასკვნის ავტორი.

ზემოთგანხილული სტატიების გაცნობის შემდეგ გამიჩნდა კითხვა: როგორ შეიძლება მოსწავლეებში კრიტიკული უნარების „გაღვიძება“? რა მეთოდები არსებობს ამისათვის უფრო ახალი და საინტერესო, რომ მოქნილად შევძლო პრაქტიკაში განხორციელება და შედეგის დადება? ამ მიზნით გავეცანი უამრავ ლიტერატურას, მომეწონა მაია ჯალიაშვილის სტატია, რომელიც პასუხს სცემდა ჩემს კითხვებს „კრიტიკული აზროვნების ნიუანსები“ (maststavlebeli.ge-2018წ. 9 ივლისი).

ავტორიც იზიარებს იმ აზრს, რომ სკოლამ უნდა მიაჩვიოს მოსწავლე კრიტიკულ აზროვნებას, მასწავლებლის მათავარი ამოცანა არა ინფორმაციის გადაცემა უნდა იყოს, არამედ მოპოვებული ფაქტების შერჩევა, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. „მასწავლებელმა მოსწავლე უნდა „გააღვიძოს“, რათა მან შეძლოს საგნებისა და მოვლენების ნათლად აღქმა და დანახვა. „გაღვიძება“ იგივე მოძრაობაა, მოქმედებაა ინდივიდუალობის განსავითარებლად, კოლექტიური შეხედულებების მღვრიე ნაკადში გზის გასაკვლევად“- აღნიშნავს კრიტიკოსი. ავტორი მასწავლებლებს ავალებს, რომ ის მუდმივად შემოქმედებითად უნდა იყოს განწყობილი, მეთოდები შეუსაბამოს კონკრეტულ კლასს და მასალას. მან გაკვეთილზე ხელი უნდა შეუწყოს:

1. სხვადასვა თვალსაზრისის, შეფასების, დამოკიდებულების არსებობას;
2. კომუნიკაციის კულტურის განვითარებას;
3. შაბლონურ და სტერეოტიპულ კითხვა- პასუხზე უარის თქმას;
4. სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზებას, რომ მოსწავლეებს მიეცეთ დამოუკიდებლად ფიქრისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა;
5. გაკვეთილზე მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიების გამოყენებას;

მისი აზრით, საჭიროა სწავლების სტრატეგიის შეცვლა. სხვადასხვა მოსწავლის „გასაღვიძებლად“ გვირჩევს სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას. ცხადია, ყველა მოსწავლე ინდივიდუალურად აღიქვამს სამყაროს, მოვლენებს, თავისებური ინტუიცია აქვს, ამიტომ კარგად უნდა გავარკვიოთ, ესა თუ ის ბავშვი რას ხედავს ოილად და რას - ვერა. საჭიროა ანალიტიკური ფიქრი, მიება და პოვნა იმ ხერხებისა, რომელიც ცალკეულ მოსწავლეს დაანახებს იმას, რასაც აქამდე ვერ ხედავდა და ამიტომაც ვერ ვითარდებოდა, არ უყალიბდებოდა კრიტიკული აზროვნების ჩვევა, რის გამოც თავადაც წუხდა. ყოველი გაკვეთილი ისე უნდა დაიგეგმოს, რომ კარგად გამოიკვეთოს სამი ეტაპი: გამოწვევა, გააზრება, რეფლექსია. უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი სხვადასხვა ეტაპზე, პედაგოგებისათვის უცხო არაა, რომ ასეთი მუშაობა „ამაღლებს გაკვეთილზე ინფორმაციის მიღება - გადამუშავების ხარისხს, მოსწავლეთა მოტივაციას და ჩართულობას, ცოდნისადმი მათ პასუხისმგებლობას, განუვითარებს მათ პიროვნულობას, რათა მოსწავლემ სწავლა გაიზიაროს არა როგორც მომაბეზრებელი რუტინა, არამედ როგორც სამყაროსა და საკუთარი თავის დაუსრულებელი, აღმოჩენებით სავსე შემეცნების პროცესი“ - ასკვნის ავტორი.

მრავალფეროვანი მეთოდების ძიების პროცესში გავეცანი ნინო კაპანაძის სტატიას : „მეთოდი, რომელიც მთელ პედაგოგიურ არსენალს ააქტიურებს“(mastststavlebeli.ge- 25 მაისი,2015 წ). აქ განხილულია კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობისათვის აუცილებელი სწავლების ეფექტური მეთოდი - პროექტებით სწავლება. ავტორი უპირველეს ამოცანად თვლის იდეების გენერირებას, შემდეგ საკლასო მზაობას, დგება საკითხისადმი კრიტიკული მიდგომის მომენტი, პროვოცირებისათვის პედაგოგს მზად უნდა ჰქონდეს კითხვები. პროექტზე მუშაობს დროს მასწავლებელი უნდა აკვირდებოდეს მოსწავლეებს, განმავითარებელი შეფასების ფორმა-დაკვირვება მას მნიშვნელოვან ინფორმაციას დაუგროვებს, მოსწავლეთა დამოუკიდებელი ინიციატივები წახალისოს. პროექტისათვის საჭირო ყველა აქტივობა უნდა დაიწეროს და იცნობდნენ ბავშვებიც. საბოლოოდ, პროექტის ყველა მონაწილესთან ერთად უნდა გაიმართოს შიდა ანალიზი, რა გამოგვივიდა კარგად და რა ხარვეზები გვქონდა, რა მიგვაჩნია ხარვეზების მიზეზად, რა გამოცდილება მიიღეს და რაში გამოვიყენებთ ამ გამოცდილებას? ხომ არ ფიქრობენ ახალ საპროექტო იდეაზე?

პროექტის, როგორც მეთოდის განსკუთრებულობა და უპირატესობა ის არის, რომ მის ფარგლებში გააქტიურებულია პედაგოგის მთელი პროფესიული არსენალი: „ეს არის მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული მეთოდი, რომელიც იტევს მრავალფეროვან აქტივობებსა და მიდგომებს, უვითარებს მოსწავლეებს საკვანძო კომპეტენციებს, ქმნის ხელსაყრელ პირობებს ბლუმის ტაქსონომიის აზროვნების ზედა დონეებზე გასასვლელად, ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობის უნარს, მოსწავლეს აძლევს უსაფრთხო გარემოში იდეის საქმედ ქცევის გამოცდილებას“ - გვირჩევს და გვარიგებს ავტორი.

მეთოდების თვალსაზრისით საინტერესო იყო ასევე მაია ფიჩხაძის სტატია „კრიტიკული აზროვნების განვითარებისაკენ მიმართული დავალებები“(maststavlebeli.ge- 18 მაისი,2018 წ). იზიარებს მოსაზრებას, რომ „რადგან ეროვნული სასწავლო გეგმა ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს პედაგოგიურ საზოგადოებას და სკოლას, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სწავლებაში კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებისაკენ მიმართული დავალებების გამოყენება, რომლებიც ფართოდ უხსნის გზას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას, ინტერესს იწვევს აღმოჩენებისა და სიახლის ძიების მიმართ“-წერს ავტორი. იგი წარმოგვიდგენს კრიტიკული აზროვნების განვითარების ერთ-ერთ მეთოდს სახელწოდებით „ქეშმარიტია- მცდარია“. ამ დავალებების საშუალებით მასწავლებელი უფრო ადვილად დაინახავს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის გაღრმავების პროცესი, ავტორი თვლის, რომ მასწავლებელი თემის დაწყებამდე შეამოწმებს მოსწავლის წინარე ცოდნას, ასევე გამოავლენს, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი კონკრეტული სასწავლო მიზნის მისაღწევად, ასევე რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნათა ერთობლიობის კომპლექსურად გამოყენებას. ეს მეთოდი ფიჩხაძის აზრით, გამორჩეულია თავისი კონცეფციით, ინფორმაციასთან დამოუკიდებელი მუშაობის, შედარების, შეფასების, ანალიზის, განზოგადების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებისაკენ მიმართული დავალებებით და, საზოგადოდ, მიდგომის თავისებური ალგორითმით, გადაწყვეტით, ის ეფექტური შედეგებით გამოირჩევა. თვლის, რომ მისი გამოყენება

ხელსაყრელია გონებრივი იერიშის დროს, გაკვეთილის საწყის ფაზაში, როდესაც მიმდინარეობს შესწავლილი მასალის გამეორება და მომზადება ახალი მასალის ათვისებისათვის. გამოავლენს გავიგოთ, რა მოეწონათ, რა დაამახსოვრდათ ყველაზე მეტად, ის ეხმარება მოსწავლეს დროსა და სივრცეში ორიენტირებაში, ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაციაში, ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენებისა და კანონზომიერებების დადგენისათვის საჭირო სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარებაში. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია ნარატივზე მუშაობის დროს, მასწავლებელს საშუალება ეძლევა, დააკვირდეს, რამდენად ზუსტად გაიაზრეს მოსწავლეებმა ტექსტის ყველა დეტალი. მიდგომა „ჭეშმარიტია-მცდარია“ გამოსადეგია მხატვრული ლიტერატურის შესწავლის დროს. ის საშუალებას მისცემს, დაფიქრდნენ ნაწარმოებში გაშლილ მოვლენებზე, ასევე შესაძლებელია მოსწავლეებს დავავალოთ თვითონ შეადგინონ კითხვები გაკვეთილის ტექსტის მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს ლოგიკური აზროვნების განვითარებას, დაეხმარება მათ უკვე ნასწავლის საფუძველზე ცოდნის ჯაჭვის აგებაში. ვფიქრობ, ამ მეთოდის დანერგვა კლასს კარგ შედეგზე გაიყვანს.

მანია ფიჩხაძეს სხვა სტატიაც აქვს გამოქვეყნებული ამ საკითხთან დაკავშირებით, (maststavlebeli.ge-24ნოემბერი, 2017წ) აგრძელებს მსჯელობას იმაზე, რომ კრიტიკული აზროვნება დამოუკიდებელი აზროვნებაა, მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ჩამოუყალიბებს მოსწავლეს თავისი იდეისა და მტკიცებულებების ჩამოყალიბებას, ფაქტებისა და მოვლენების შეფასებასა და საკუთრი აზრის დაფიქსირებას. ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი იმუშაო მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების დახვეწაზე. სტატიაში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშესაწყობ მეთოდად დასახელებული აქვს ავტორს სინქვეინები და დიამანტი, რადგან მათი შედგენა მრავალმხრივ ცოდნასა და უნარებს მოითხოვს. სინქვეინი 5 სტრიქონიანი ლექსია, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი მკაცრად განსაზღვრული ფორმა. ავტორი გვიხსნის მისი წერის სტრუქტურასაც. I ხაზი- არსებითი სახელია, რომელიც ნარატიული მასალისაგან ქმნის ლექსს; II ხაზზე წარმოდგენილია - თითო არსებით სახელთან დაკავშირებული ორი განსაზღვრება; III ხაზი უკავია სამ ზმნას, რომელიც ერთ არსებით სახელთანაა დაკავშირებული; IV ხაზი- ეს უკვე მთელი ფრაზაა, რომელსაც გარკვეული აზრი გააჩნია; V ხაზზე წარმოდგენილია თემის სინონიმი, ანდა ერთი კრებითი სიტყვა, რომელიც განსაზღვრავს იმ ემოციურ დამოკიდებულებას, რომელიც აერთიანებს ყველა ზემოთ მითითებულ თემას. სინქვეინის გამოყენებას სტატიის ავტორი გვიჩვენებს უცხო ტექსტის ინტერპრეტაციისას, რადგან ის ერთგვარი კონსპექტის როლსაც ასრულებს, მასში „ჩატეულია“ დიდი ინფორმაცია, კრიტიკოსს მიაჩნია, რომ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ყველა უპირატესობა ძირითადად იკვეთება წერილობითი სამუშაოს დროს, „მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მათ ნამუშევრებს ყურადღებით მოვეპყროთ და დავანახოთ, რომ ისინი რეალურად გვანტერესებს, რომ აქვთ საშუალება, თავიანთი იდეები სხვებსაც გაუზიარონ, აზრების დალაგება და შემოქმედება კი თითქმის ერთი და იგივე პროცესია“-წერს იგი. ამ მიმართულებით, სინქვეინის გარდა, საყურადღებოა დიამანტის გამოყენებაც. დიამანტი- ესაა

მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმედებითობას და, შესაბამისად, კრიტიკული აზროვნების განვითარებასაც, ასევე, ინფორმაციის გადამუშავებას, ტექსტის ანალიზს, ავითარებს მოსწავლის ყურადღებას, ხელს უწყობს მოსწავლის ინტერესების გაღვივებას, შემოქმედებითობასა და საგნის მომზადებასთან დაკავშირებულ სხვა უნარებს. აქვე გვიხსნის მისი წერის სტრუქტურასაც. სინქვეინისაგან განსხვავებით დამატებულია თემის განსაზღვრა, ზედსართვი სახელების გამოყენება და ბოლოს, სახელის დასახელება, რომელიც თემის შვიდივე ხაზს გააერთიანებს. აღნიშნული მიდგომების გამოყენებით მოსწავლეები შემოგვთავაზებენ წაკითხულის ორიგინალურ დაბოლოებას, თანაც სამუშაოს შესრულებისას ინარჩუნებენ თავისუფლებას და საშუალება აქვთ, თავისებურად აღიქვან წაკითხული და გაგონილი. მოსწავლეები, რომლებიც ეუფლებიან სინქვეინისა და დიამანტის გამოყენებას, უვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვანი პირობაა საგაკვეთილო პროცესის წარმატებისათვის.

განვიხილოთ ასევე ეროვნული სასწავლო გეგმა. X კლასის სტანტარტში, ზეპირმეტყველების, კითხვის და წერის მიმართულებით პირდაპირ მითითებულია, რომ კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარება მნიშვნელოვანი და აუცილებელი მოთხოვნაა. მოსწავლეს უნდა შეეძლოს მონაწილეობის მიღება საკლასო და სასკოლო დისკუსიებში. ასევე თანაკლასელთა ზეპირი მოხსენებების გაანალიზება და შეფასება. მნიშვნელოვანია მათ შეძლონ სხვადასხვა სახის ტექსტების გაანალიზება მათი ორგანიზების თვალსაზრისით. ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეებს ავალდებულებს, რომ შეძლონ სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური თხზულებების წაკითხვა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვა. ასევე მოსწავლეებმა უნდა შეძლონ სასწავლო რეფერატის, კონსპექტის და წაკითხულის შთბეჭდილების დაწერა (ქართ.X. 1; ქართ.X.4; ქართ.X.6; ქართ.8; ქართ.X.13; ქართ.X. 14; ქართ.X.15; 2011-2016წწ).

განათლების უმნიშვნელოვანესი მარეგულირებელი დოკუმენტი პირდაპირ ვალდებულებად გვიქმნის დაწყებითი საფეხურიდანვე განვავითაროთ კრიტიკული აზროვნება, მაღალი სააზროვნო უნარები, რომ შედეგად მივიღოთ აქტიური სამოქალაქო საზოგადოება, „საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება: სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა: მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო.

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი: დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება: სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე: სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან: სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე: დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება”.

ბავშვებს დღეს, როგორც არავის, ისე სჭირდებათ თავისუფლება. მნიშვნელობა არ აქვს, სად ან როგორ ოჯახში, ქვეყანაში იზრდებიან, მათში გენეტიკური კოდით დევს ბუნებრივი სწავლა თავისუფლებისაკენ. ბუნებრივია, რომ მოსწავლემ გააპროტესტოს გაკვეთილის თემა, მას გაუჩნდება ათასი შეკითხვა და მუდამ გამოხატავს ამას. შესაძლოა, ჩვენ მიერ უტყუარ ჭეშმარიტებად ქცეული ცნებები თავდაყირა დაგვიყენოს, მათთვის, „უნდა მოგწონდეს“, „უნდა გიყვარდეს“, „უნდა ისწავლო“ შესაცვლელია იმის ახსნით და იმაზე საუბრით, რატომ უნდა მოსწონდეთ, რატომ უნდა უყვარდეთ, იმის გააზრებით, რატომ უნდა ისწავლონ.

საკვლევი კითხვების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით დამეხმარა თ. ტალიაშვილის სტატია: „რატომ უნდა ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება?“, სადაც დ. კლუსტერის აზროვნების ხუთი მახასიათებელი ჩემთვის მნიშვნელოვანი აღმჩნდა, საკვლევ კითხვარში გავითვალისწინე მისი რჩევები.

N 7. საკვლევი კითხვები

1. განაპირობებს თუ არა ერთფეროვანი გაკვეთილები კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარების შეფერხებას? კრიტიკული აზროვნების დაბალ კომპეტენციას?
2. როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების გაუმჯობესებაში და რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენების დროს მოსწავლეთა ინდივიდუალიზმისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება?
3. რამდენად გაუადვილებს მოსწავლეებს კრიტიკულ აზროვნებაში კომპეტენციებს კოგნიტიური სქემებითა და ცხრილებით მუშაობა და განაპირობებს თუ არა სწორად გაცემული განმავითარებელი შეფასება კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას?
4. კრიტიკული აზროვნება არის დამოუკიდებელი აზროვნება. ამგვარად, შეიძლება თუ არა აზროვნება იყოს კრიტიკული მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ინდივიდუალურია?
5. ინფორმაცია წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების საწყის და არა საბოლოო პუნქტს. შეიძლება თუ არა ცოდნამ აღძრას მოტივაცია, რომლის გარეშეც ადამიანს არ შეუძლია აზროვნოს კრიტიკულად?
6. კრიტიკული აზროვნების დაწყებას შევძლებთ თუ არა საკითხის წამოჭრითა და გადასაჭრელი პრობლემის გააზრებით?
7. კრიტიკული აზროვნება მიისწრაფვის სარწმუნო არგუმენტაციისკენ. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი პოულობს პრობლემის გადაჭრის საკუთარ გზას და ამყარებს საკუთარ გადაწყვეტილებებს გონივრული არგუმენტებით, საფუძვლიანი მოსაზრებებით. არგუმენტაციის სტრუქტურული ელემენტებია: მოსაზრება, მტკიცებულება, დასაბუთება და საფუძველი. არის თუ არა საფუძველი ყველა დანარჩენი ელემენტის ათვლის წერტილი? საფუძველს ეყრდნობა თუ არა მთელი არგუმენტაცია?

8. კრიტიკული აზროვნება სოციალური მოვლენაა, რამდენად შესაძლებელია ყოველი მოსაზრების გამოცდა და დახვეწა მაშინ, როდესაც მას ვუზიარებთ სხვებს, ან როგორც ფილოსოფოსი ჰანა არენდტი წერს: “სრულყოფილება მიიღწევა მხოლოდ ცოცხალ ურთიერთობაში, ვისიმე თანდასწრებით”?

N 8. კვლევის მეთოდები

თვისობრივი მეთოდები

1. დაკვირვება

სამიზნე ჯგუფი: მოსწავლეები.

მიზანი: პრობლემის კონკრეტული დადგენა, გამოვლენა.

დაკვირვების სფეროები: პრობლემის დასახელება, პრობლემის გამომწვევი მიზეზები, შედარებების გაკეთება და პარალელების გავლება. დამოუკიდებლად აზროვნება, პრობლემის გააზრება (არგუმენტების და კონტრარგუმენტების მოყვანა, პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა).

2. ინტერვიუ

სამიზნე ჯგუფი : გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებლები, რომლებიც ამავე კლასში შედიან.

მიზანი: პრობლემის სწორად გამოვლენა, ვლინდება თუ არა კონკრეტულად მათ გაკვეთილებზე ანალოგიური პრობლემები. გამოცდილების გაზიარება;

რაოდენობრივი მეთოდები

ანკეტირება

სამიზნე ჯგუფი : მოსწავლეები.

მიზანი : შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების გარკვევა - გაანალიზება კრიტიკულ აზროვნებასთან მიმართებაში.

N 9. მონაცემთა ანალიზი

დაკვირვება - ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაზე დაკვირვებით ვლინდება, რომ მოსწავლეებს უჭირთ დავალების პირობის ადეკვატურად გააზრება, ესეს სტრუქტურის დაცვა, მონაკვეთების თანმიმდევრულად და ლოგიკურად მონაცვლეობა, სიღრმისეული წვდომა განსახილველი საკითხის, ვერ ავლენენ თემესთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნას, ასევე ინფორმირებულობასა და ერუდიციას, ცალკეულ ნაწილებში ვერ ასაბუთებენ არჩეულ თვალსაზრისს, პრობლემურია ნაწერებში მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების

უნარის გამოვლენაც, აზრის ნათლად ჩამოყალიბება, უჭირთ დასმული ამოცანის შესაფერისი სტილის შერჩევა, აზრის ენობრივად ზუსტად და მკაფიოდ ჩამოყალიბება, მსჯელობა, საკუთარი პოზიციის მყარად დაცვა, შესაბამისი არგუმენტების მოყვანა, ასევე ვერ აყალიბებენ კონტრარგუმენტს. დასკვნით ნაწილში არ შეუძლიათ შეჯამება საკითხისა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, რომელიც უმნიშვნელოვანესია ესეს წერის დროს.

ინტერვიუ - ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე დავგეგმე ინტერვიუს აღება გეოგრაფიის და ისტორიის პედაგოგებთან, ჩემი მიზანი იყო, ჩემ მიერ აღმოჩენილი პრობლემა ანალოგიურად დამენახა, ან ვერ ან არ გამოვლენილიყო მათ გაკვეთილებზე, დასმულ შეკითხვებზე ორივე პედაგოგი პასუხობს, რომ მოსწავლეებს უჭირთ დანახვა, რომ ისტორია არის უწყვეტი პროცესი, რომ თანამედროვე საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, სოციალური და მორალური პრობლემები მეტწილად განპირობებულია საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში მომხდარი ცვლილებებით. უჭირთ ისტორიული ეპოქის აღქმა (ისტორიული ეპოქის აღწერისას მოვლენების დანახვა იმ პერიოდში მცხოვრები ადამიანების თვალთ; წარსულში მომხდარი მოვლენების შეფასება არა მხოლოდ დღევანდელი გადასახედიდან, არამედ იმ ეპოქის ფასეულობებისა და შეხედულებების გათვალისწინებით). ასევე ისტორიულ მოვლენებს შორის რთული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და ანალიზი. ისტორიული მოვლენის მიზეზებისა და შედეგების განსხვავებული შეფასებების შედარება და ანალიზი, კანონზომიერებების შესახებ საკუთარი მოსაზრების დასაბუთება, დამოუკიდებელი ისტორიული კვლევა. გეოგრაფიის პედაგოგმა დაამატა, რომ მოსწავლეებს უძნელდებათ მათი მითითების გარეშე კვლევის დაგეგმვა, ჩატარება და კვლევის შედეგის როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარმოდგენა; კვლევის პროცესში ვიზუალური მასალის (რუკა და სხვა გეოგრაფიული საშუალებები) შექმნა.

როგორც ინტერვიუს ჩანაწერები მოწმობს, პრობლემა ანალოგიურად დასტურდება მათთანაც.

იხ. დანართი 1 (კითხვარი მასწავლებელთათვის)


ანკეტირება

წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მოსწავლეებს შევთავაზე ანკეტა, სადაც ანონიმურობა დაცული იყო, ყველა წერის გათვალისწინებით, ანკეტის შედეგი კი ასეთია.

1. შეკითხვებზე მოსწავლეთა პასუხები ასეთია.


რა არის კრიტიკული აზროვნება?

■ არ იცის ■ ნაწილობრივ ერკვევა ■ სრულად ცემს პასუხს




2.

შენი აზრით, აუცილებელი და მნიშვნელოვანი კომპეტენციაა კრიტიკული აზროვნება, რომელიც უნდა გქონდეს?




3.

შენი აზრით, რაში გეხმარება კრიტიკული აზროვნება?




4.

რომელი მეთოდით დაგეგმილი გაკვეთილები მოგწონთ?



5.

რა სიხშირით გიტარდებოდათ კრიტიკული აზროვნების განსავითარებელი გაკვეთილები?



იხ დანართი 2. (მოსწავლეთა კითხვარი)

პრეტესტი:

არგუმენტირებული ესე (შეფასების რუბრიკა იხ. დანართი 3)


ესე: სოციალურმა ქსელებმა ადამიანები ერთმანეთს დაახლოვა.

პოსტტესტი


არგუმენტირებული ესე (შეფასების რუბრიკა იხ. დანართი 3)

ესე: ადამიანი ბრბოს წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველთვის განწირულია.

ადამიანი ბრბოს წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველთვის განწირულია



სოციალურმა ქსელებმა ადამიანები ერთმანეთს დაახლოვა



N 10. ინტერვენციები

1. ინტერვენციის დასახელება: სემინარი.

განსახილველი საკითხები: რა არის დისკუსია? ქცევის წესების შემუშავება.

ინტერვენციის მიზანი: გააცნობიერონ მოსწავლეებმა დისკუსია, როგორც სწავლების მეთოდის მნიშვნელობა, სტრუქტურა და პროცედურები, თანამშრომლობით საფუძველზე შემუშავდეს წესები და რეგულაციები.

ინტერვენციის აღწერა: მეთოდების არჩევაში დამეხმარა მ. ჯალიაშვილის სტატია: „კრიტიკული აზროვნების ნიუანსები“. რის საფუძველზე ჩამოვაყალიბე და შევიმუშავე დისკუსიის 7 ხერხი, გათვლილი იყო დისკუსიის ტექნიკების საფეხურობრივი განვითარებისათვის. ნისანდობლივია, რომ ესგ-ში მითითებულია ამ უნარის ფლობის აუცილებლობაც.

ქართ. X. 1. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება საკლასო და სასკოლო დისკუსიებში.


ქართ. X. 2. კამათის დროს მოსწავლეს შეუძლია მიმართოს შესაბამის ტაქტიკას და დაიცვას სამეტყველო ქცევის ეთიკური ნორმები.

გავაცანი სლაიდით, შეხვედრა წარიმართა ინტერაქტიულ რეჟიმში, გამოთქვეს აზრები, შევიმუშავეთ წესები.

დანართი 4: დისკუსიის 7 ხერხი.

2. ინტერვენციის დასახელება: კოგნიტური სქემებით მუშაობა.

ინტერვენციის მიზანი: გამოუმუშავდეს მოსწავლეებს ანალიტიკური, კრიტიკული და



რეფლექსური აზროვნების უნარ-ჩვევები.

აღწერა: კოგნიტური დიაგრამებიდან ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს **Fishbone Diagram** (ე.წ. „თევზის ფხა“). დიაგრამას თევზის ფხების ფორმა აქვს.

მეთოდი ხელს უწყობს ინფორმაციის გაგება-გააზრებისა და დამუშავების უნარების განვითარებას. ეს ერთგვარი გამჭოლი სემიოტიკური კომპეტენციაა, რომელიც ვერბალური და არავერბალური (რუკის, დიაგრამის, სქემის, ნახატის, მელოდიისა და სხვ.) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტეგრირების, საკუთარი ნააზრებისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის; ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის უნარს გულისხმობს. მოსწავლეებს წავუკითხე ედვარდ ჰეილის მოთხრობა „უსამშობლო კაცი“, და კოგნიტური სქემის მიხედვით ვიმსჯელებ და დავინახეთ პრობლემა. „Fishbone“-ს მეთოდით ხელი შევუწყვე ინფორმაციის გაგება-გააზრებისა და დამუშავების უნარების განვითარებას, მოსწავლეთაგან იდეების მოწოდების დასრულებისას, დავიწყეთ მათი გამოხშირვა და ბოლოს დავაფიქსირეთ თევზის კუდი და დასკვნაც ის იყო, რომ ხანდახან ჩვენი შეცდომა ბედისწერად გვექცევა ხოლმე, მაგრამ არსებობს ერთი სიტყვა, რომელიც ყოველგვარ ბედისწერას აღემატება - დ ი რ ს ე ბ ა. მხოლოდ მისმა განცდამ და სასჯელის დადგომის შემდეგ მისით ცხოვრებამ გააბედვინა ნოლანს დაეწერა: "რათა ჩემი შერცხვენა არ იყოს იმაზე მეტი, ვიდრე დავიმსახურე".

3. ინტერვენციის დასახელება: ფილმის ჩვენება, დისკუსია.

ინტერვენციის მიზანი: გამოუმუშავდეს მოსწავლეებს არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევა.

ინტერვენციის აღწერა: შვედი კლასში, ჩავრთე ქართული მხატვრული ფილმი „როცა აყვავდა ნუში“. პერიოდულად ვცდილობდი დამეკვირვებინა პერსონაჟთა ხასიათებზე, ქცევაზე, რითაც შემდეგ შეძლებდნენ პრობლემის დანახვას. დასრულების შემდეგ გავმართეთ მსჯელობა წინასწარ მომზადებული კითხვარის მიხედვით. უკვე მათთვის სემინარიდან გამომდინარე ცნობილი იყო ის ხერხები, რომელიც გამოვიყენე კითხვებზე მუშაობის დროს. კერძოდ, ვიმსჯელეთ:

1. რამდენად სწორად მოიქცა დირექტორი ზურასთან მიმართებაში, როცა მან დასაჯა იგი მანქანის ქურდობის გამო?(მოხსნა იგი ველოსიპედისტთა შეჯიბრებიდან)
2. რამდენად სწორად ერევა მამა?(ჯერ შეჯიბრში აღადგინა ზურა და შემდეგ წაგებული გამარჯვებულად გამოეცხადებინა)
3. რა ფაქტორი იწვევს ხათუნასა და ზურას დაშორებას?
4. რამ უბიძგა ზურას დანაშაული ელიარებინა და საკუთარ თავზე აედო?
5. რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის პასუხისმგებლობა იმაზე, რაც ჩაიდინა, თანაგანცდა იმისა რაც ხდება?
6. რატომ ხდებიან ადამიანები ზოგჯერ იძულებულნი, რომ ცუდად მოიქცნენ?
7. გამოხატეთ ფილმით მიღებული ემოცია.

4. ინტერვენციის დასახელება: დებატები

თემა: საერო ხელისუფლება უფრო მაღლა დგას თუ სასულიერო

(„ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების” მიხედვით)

ინტერვენციის მიზნები: გამოუმუშავდეს მოსწავლეებს არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევა.

ინტერვენციის აღწერა: „გრ. ხანძთელის ცხოვრების” შესწავლისას დავგეგმე ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება ისტორიასთან, სადაც მინი ლექციის დროს უნდა მესაუბრა კათოლიკურ სამყაროში მომხდარ დაპირისპირებებზე საეროსა და სასულიერო ხელისუფლებას შორის. ერთ-ერთი აქტივობა იყო ჯგუფური მუშაობა, სადაც თითოეულ ჯგუფს მიცემული ჰქონდათ დავალებად ისეთი ეპიზოდების გახსენება ტექსტიდან, რომელშიც კარგად ჩანდა

საეროსა და სასულიერო პირთა ურთიერთდამოკიდებულება. გაკვეთილის ბოლოს კი გავმართეთ დებატები ზემოთდასახელებული საკითხის ირგვლივ.

გაკვეთილის გეგმა იხ. დანართი 5.

5. ინტერვენციის დასახელება: პროექტი

ინტერვენციის მიზნები: გამოუმუშავდეს მოსწავლეებს არგუმენტირებული მსჯელობის, მონაცემთა ანალიზისა და შეფასების უნარი.

ინტერვენციის აღწერა: შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის დროს დავეგმეთ პროექტის განხორციელება სახელწოდებით: „რუსთაველის კვალდაკვალ“. ამ ინტერვენციის დაგეგვაში დამეხმარა ნ. კაპანაძის სტატია: „მეთოდი, რომელიც მთელ პედაგოგიურ არსენალს ააქტიურებს“, სადაც პროექტებით სწავლებაზე საუბრობს და აღნიშნავს ყველა იმ უნარს, რასაც ეს მეთოდი აყალიბებს მოსწავლეებში. დავინახე ჩემი საკვლევით თემის შესაბამისობაში. დავყავი კლასი 4 ჯგუფად და მივანიჭე სახელებიც საქმიანობიდან გამომდინარე. მივეცი დავალებები და მასალები, რომლებიც უნდა დაემუშავებინათ და საჭიროებისამებრ გამოეყენებინათ. უნდა ემუშავათ რუსთაველის ბიოგრაფიაზე, პოემის ხელნაწერთა ისტორიაზე, ლიტერატურთა ჯგუფს უნდა შეესრულებინათ ნახატები, ესეები, ჩანახატები, წავიყვანე ქუთაისის ხელნაწერთა მუზეუმში, დაგროვებული მასალა წარადგინეს პრეზენტაციის სახით კლასში.

პროექტის გეგმა იხ. დანართი 6.

N 11. ინტერვენციების შეფასება


განხორციელებული ინტერვენციების შედეგების გაზომვის მიზნით შევარჩიე მეთოდი **დაკვირვება**, საგაკვეთილო პროცესში ვაკვირდებოდი მოსწავლეებს სამივე ფაზაზე, დაკვირვებიდან ვლინდება, რომ მომსწავლეთა ჩართულობამ მომცა შედეგი, შეძლეს მონაწილეობის მიღება საკლასო და სასკოლო დისკუსიებში. ასევე თანაკლასელთა ზეპირი მოხსენებების გაანალიზება და შეფასება. სხვადასხვა სახის ტექსტების გაანალიზება მათი ორგანიზების თვალსაზრისით. მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებდნენ აზრს, მსჯელობენ არგუმენტირებულად, გამოაქვთ ადეკვატური დასკვნები, შეუძლიათ უკვე შეფასება კლასელების მოხსენებების, რამდენად ეფექტურად იყო წარმოდგენილი მოხსენების ნაწილები, ფლობენ სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური თხზულებების წაკითხვას და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას, თავისუფლად მიმოიხილავენ ნაწარმოების კომპოზიციას, პოეტურ სტროფს, პროზაულ ფრაგმენტს, საკვანძო ეპიზოდებს, განსაზღვრავენ მეტყველების სხვადასხვა ტიპს, ასევე ფუნქციურ სტილს,

აღნიშნავენ ტექსტის ორგანიზების ხერხებსა და მათი გამოყენების მიზანს. მოსწავლეებმა შეძლეს სასწავლო რეფერატის, კონსპექტის და წაკითხულის შთბეჭდილების დაწერა. გეგმის შედგენით, მსჯელობენ პრობლემაზე, რაც დაინახეს ნაწარმოებში, აკრიტიკებენ პერსონაჟის ან ავტორის შეხედულებებს, აკავშირებენ ისტორიულ ეპოქასთან და თანამედროვეობასთან, შეძლეს პარალელების გავლება.

გარდა დაკვირვებისა მეორე მეთოდად გამოვიყენე დიაგნოსტიკური წერა პოსტტესტი, რომელიც შედგებოდა ღია კითხვებისაგან, მიზანი იყო პოემა „ვეფხისტყაოსნიდან“ (გავდიოდით პროგრამულადაც) კონკრეტულად მითითებული სტროფებიდან მოცემულ კითხვებზე გაეცათ პასუხები, მთავარი იყო პასუხები ზუსტად და ლაკონურად ყოფილიყო ჩამოყალიბებული, კონკრეტული სტროფების მიხედვით.

იხ. დანართი..N 7 და დანართი N 8

მოსწავლეების ნამუშევრების გაანალიზების შემდეგ ასეთი სურათი მივიღე პრეტესტთან შედარებით.



როგორც შედარებამ უჩვენა შედეგები მკვეთრად გაუმჯობესდა.

ყველა განსახორციელებული ინტერვენციის წინ და განხორციელების შემდგომ მოსწავლეებს ვავსებინებდი ბარათებს(თვითშეფასების კითხვარს), რომელიც მეხმარებოდა შემდეგი აქტივობის უკეთ წარმართვაში. მაგალითად, ერთ-ერთმა მოსწავლემ დისკუსიის ხერხების გაცნობის შემდეგ დაწერა: „აქამდე დისკუსია მხოლოდ კითხვა- პასუხი მეგონა, არა და რამდენად რთული ყოფილა, სწორად უნდა გავიაზრო დასმული საკითხი, ავირჩიო პოზიცია და ამის შემდეგ უნდა ვეძებო არგუმენტები, თანაც შესაბამისი“. დისკუსიის ტექნიკების დაუფლების შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა სემინარისა და დებატების შემდეგ, ერთ-ერთმა მოსწავლემ დაწერა: „გაკვეთილზე მუდამ ჩართული ვარ, არ მრცხვენია უკვე საკუთარი აზრის გამოთქმის, ვისწავლე ტექსტიდან არგუმენტების მოძიება, საინტერესო არის მეთოდი „თევზის ფხა“. ის ყოველთვის მეხმარება პრობლემის გააზრებასა და გაჭრის გზების ძიებაში“. საკმაოდ ხანგრძლივი დრო დაგვჭირდა ესეს წერის სტრატეგიებს დავუფლებოდით საჭიროებისამებრ. საბოლოოდ მიღწეულით კმაყოფილი ვარ მეც და მოსწავლეებიც. თვითშეფასების კითხვარის

შევსებისას კარგად გააანალიზეს მოსწავლეებმა თვიანთი შრომის შედეგები, გულწრფელად აღნიშნავენ რა გაიუმჯობესეს, რა უნდა განამტკიცონ და შემდგომი წერთი დავალების შესრულებისათვის კიდევ რას შეეცდებიან უკეთესი შედეგის მისაღებად? ერთ-ერთმა კადეტმა აღნიშნა: „პირველად რომ ესეს დავხედე შემეშინდა, მაგრამ მასწავლებლის დახმარებით გავიაზრე რა და როგორ უნდა გავაკეთო, არგუმენტის მოყვანა სათქმელის ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია, ასევე თავიდან მიჭირდა კონტრარგუმენტის და არგუმენტის გარჩევა და სწორად მოძიება, ახლა შემიძლია სხვადასხვა მიმართულებით მაგალითების მოყვანა, ასევე მეცნიერული კუთხითაც, თუ თემა ამას მოიხდენს...შემდგომ წერთი დავალებაში შევეცდები პრობლემა მეტად გავაანალიზო, დავანახო მკითხველს პრობლემის მიზეზები და შედეგები, დასკვნაში მკაფიოდ ჩამოვაყალიბო პრობლემის გადაჭრის ჩემეული ვერსიები...“

ბარათების შევსებამ მათ მისცა შესაძლებლობა ძლიერი და სუსუტი მხარის დანახვის, ცდილობენ შეცდომების გამოსწორებას და პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ახალ დავალებას.

თვითშეფასების კითხვარი იხ. დანართი N 9

N12. რეკომენდაციები

1. მოსწავლეებს ხელი შევეუწყოთ მაღალი სააზროვნო უნარების განსავითარებელი სტრატეგიების სტრუქტურისა და პროცედურების გაგება-გააზრებისათვის.მაგალითად: დისკუსია, დებატები და ა. შ.
2. ხშირად გამოვიყენოთ სასწავლო პროცესში კოგნიტური სქემები, რომელიც ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.
3. დაიგეგმოს ინოვაციური მეთოდებით სასწავლო პროცესი. მაგ: ფილმებით სწავლება.
4. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას. ჩავრთოთ მოსწავლეები პროექტის სამოქმედო გეგმების შედგენაში, ფუნქციათა გადანაწილებაში და გავცეთ სისტემატიურად ეფექტური უკუკავშირი.
- 5.განსაკუთრებული ყურადღება სწავლა-სწავლებაში დავუთმოთ არგუმენტირებულ მსჯელობას, ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორცაა დებატები, წახალისდეს განსხვავებული აზრი, ალტერნატიული მოსაზრებები და ა.შ.

N 13. დასკვნა

2018-2019 სასწავლო წელს საკვლევ თემად შეირჩა „კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევათა გაუმჯობესება საშუალო საფეხურზე X კლასში“.

პრობლემა გამოვლინდა საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაზე ხანგრძლივი დაკვირვებით. კვლევის დასაწყისში მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ახერხებდა მაღალ სააზროვნო უნარებზე გასვლას. მათ კონკრეტულად არ შეეძლოთ: მონაწილეობის მიღება საკლასო და სასკოლო დისკუსიებში, თანაკლასელთა ზეპირი მოხსენებების გაანალიზება და შეფასება, სხვადასხვა სახის ტექსტების გაანალიზება მათი ორგანიზების თვალსაზრისით. სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური თხზულებების წაკითხვა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვა. სასწავლო რეფერატის, კონსპექტის და წაკითხულის შთბეჭდილების დაწერა. რაც გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზების გამო:

1. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიების ნაკლებობით.
2. ინოვაციური მეთოდებით დაგეგმილი გაკვეთილების დეფიციტით.
3. საგაკვეთილო პროცესში მრავალფეროვანი პრობლემური სიტუაციური ამოცანების, შემთხვევების შეფასების დეფიციტით.

პრობლემის მოგვარების მიზნით გატარდა წინასწარ დაგეგმილი ინტერვენციები. გატარებული ინტერვენციების შემდეგ დაიგეგმა მათი მდგრადობის შეფასება, სხვადასხვა მეთოდებით გამოიკვეთა მათი შედეგიანობა, აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებმა უკეთ გაართვეს თავი მაღალ სააზროვნო უნარებზე გამსვლელ დავალებებს, დახელოვნდნენ არგუმენტირებულ მსჯელობაში. დაეხვეწათ ენობრივ-გამომსახველობითი მეტყველება. დაიწყეს ინფორმაციების მოძიება, დახარისხება, ანალიზი კონტრარგუმენტების შეგროვების მიზნით, ვფიქრობ, კვლევის პროცესში დაგროვილი გამოცდილება და კვლევის დროს შექმნილი რესურსები ეფექტური იქნება საკლასო გარემოსა და პრაქტიკაში, როგორც ჩემთვის, ასევე სხვა პედაგოგებისთვისაც.

N 14. რეფლექსია

2018-2019 სასწავლო წლის მიმდინარეობისას განხორციელდა დაგეგმილი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე: „კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევათა გაუმჯობესება საშუალო საფეხურზე X კლასში“. კვლევის დასაწყისში გავეცანი საინტერესო და მრავალფეროვან ლიტერატურას, რომელიც დიდად დამეხმარა კვლევის

სწორად წარმართვასა და ინტერესების განვითარებაში, კვლევის დასრულების შემდეგ მიღებული შედეგები გავუზიარე კოლეგებს, პრეზენტაცია წავადგინე კათედრაზე ელექტრონული სახით.

პრობლემა აქტუალური და ძალიან საინტერესო იყო კოლეგებისთვის, რადგან მსგავსი პრობლემა არსებობს მათ პრაქტიკაშიც. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში ჩვენი კოლეგები თავადაც იჩენდნენ ინიციატივას მიეღოთ ინფორმაცია კვლევის მიმდინარეობის შესახებ. მონაცემთა შეგროვების ეტაპზე გვქონდა გეოგრაფიის და ისტორიის მასწავლებლებთან ფოკუსჯგუფი, მინდოდა მოგვესმინა ინფორმაცია, რომელიც მოგვეხმარებოდა განხორციელებული ინტერვენციების დაგეგმვაში, მოვისმინე მასწავლებლების მოსაზრებები, რის შედეგად შევჯერდი, თუ რა ინტერვენციები ჩამეტარებინა კვლევის უკეთესი შედეგის მისაღწევად, ასეთი გზით შემუშავებულმა ინტერვენციებმა საშუალება მომცა კვლევის ფარგლებში სასურველ შედეგზე გავსულოყავი.

კვლევის დასრულების შემდეგ კოლეგებთან შეხვედრამ (შეხვედრა გაიმართა 2019 წლის 24 მაისს) იმისთვის, რომ გაგვეცნო კვლევის შედეგები, პოზიტიური დამოკიდებულება გამოიწვია. კვლევა წარვადგინე პრეზენტაციის სახით, რათა ჩემ მიერ გაცემული რეკომენდაციები დაყრდნობოდა კოლეგათა უკუკავშირის ანალიზს.

კოლეგებთან უკუკავშირი იყო კონსტრუქციული და საქმიანი, მივიღე საინტერესო რჩევები, კერძოდ:

1. კვლევის შედეგები გავუზიარეთ სხვა პედაგოგებს, განსაკუთრებით ვინც უშუალოდ აღნიშნულ კლასს ასწავლის, რათა მათაც დანერგონ საკუთარ პრაქტიკაში მსგავსი აქტივობები.
2. შემომთავაზეს საინტერესო რეკომენდაცია: თვალსაჩინოებით რესურსად შექმნა, თეზისების სახით ის გასათვალისწინებელი ფაქტორები მკვლევარი პედაგოგებისათვის, რათა მომხდარიყო შეცდომების მინიმუმადე დაყვანა.
3. ჩემი გამოცდილება ასევე ავსახოთ თემატური გეგმების შედგენის დროს და პარალელურ კლასების დონეზე გავწეროთ მედიაწიგნიერების აქტივობები, მეთოდები და რესურსები.
4. მირჩიეს ჩამერთო მშობლები, რადგან ისინი მნიშვნელოვან უკუკავშირს მომცემდნენ აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში, პოზიტიურად მოვუსმინე კოლეგის რეკომენდაციას, თუმცა იქვე აღვნიშნეთ, რომ სკოლის პროფილის გამო გამწვანდებოდა მშობელთა ჩართულობა კვლევის მიმდინარეობაში.
5. აღნიშნეს, რომ საინტერესო იქნებოდა სხვა სკოლის პედაგოგთა ანგარიშის გაცნობა იგივე თემაზე.

კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ჩემს რჩევებს, რეკომენდაციებს, გამოცდილებას გაითვალისწინებენ თავიანთ პრაქტიკაში და საგაკვეთილო პროცესებში გამოიყენებენ საჭიროებისამებრ მსგავს აქტივობებს.

N 15. ბიბლიოგრაფია

1. მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელო -3 ტომი (განვითარებისა და სწავლების თეორიები; სწავლება და შეფასება; სასწავლო და პროფესიული გარემო-2008 წელი).
2. კითხვის ეფექტური მეთოდები 2 (სასწავლო-მეთოდური ფილმები და მისი გზამკვლევი).
3. ეროვნული სასწავლო გეგმა.
4. „აზროვნების სახეები“ - 26 აპრილი, 2017 ცვატა ბერძენიშვილი-maststavlebeli.ge
5. „ როგორ „გავადვიდოთ“ მოსწავლე – კრიტიკული აზროვნების ნიუანსები“- 9 ივლისი, 2018 მაია ჯალიაშვილი-maststavlebeli.ge
6. „მეთოდი, რომელიც მთელ პედაგოგიურ არსენალს ააქტიურებს“. -25 მაისი, 2015 ნინო კაპანაძე-maststavlebeli.ge
7. „კრიტიკული აზროვნების განვითარებისკენ მიმართული დავალებები“ -18 მაისი, 2018 მაია ფირჩხაძე-maststavlebeli.ge
8. „ თანამედროვე აზროვნება და მისი როლი მოზარდის განვითარებაში“ - 31 მარტი, 2014 ნათია ვაჩიშვილი-maststavlebeli.ge
9. „Fishbone Diagram (ე.წ „თევზის ფხა“)“ -14 თებერვალი. 2019. მარინა ტარულიშვილი - maststavlebeli.ge

N 16 დანართები

დანართი: 1

მასწავლებლებთან ინტერვიუს კითხვარი

1. რა პრობლემებს აწყდებით X კლასში სწავლა- სწავლებაში?
2. რომელ მეთოდს იყენებთ პრობლემური საკითხის განხილვისას, არის თუ არა ჯგუფი აქტიურად ჩართული?
3. როგორ ფიქრობთ, კონკრეტულ კლასში ვლინდება თუ არა კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების დეფიციტი?
4. რა სტრატეგიებს იყენებთ კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად?

დანართი 2

მოსწავლეთა კითხვარი

1. რა არის კრიტიკული აზროვნება?

1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული.	2
2.	დავალების პირობა ნაწილობრივ არაადეკვატურადაა გაგებული.	1
3.	დავალება მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული.	0 ნაწერი ალარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	ნაშრომის აგება	ქულები
1.	ესეს სტრუქტურა სრულად შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომი კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, წარმოდგენილი მაგალითები არ არღვევს ტექსტის მთლიანობას,	2
2.	ესეს სტრუქტურა შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომი კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები მთლიანობაში თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, წარმოდგენილი მაგალითები ძირითადად არ არღვევს ტექსტის მთლიანობას, მაგრამ აზუსტებენ სწორად არ არის გამოყოფილი; ანდა აზუსტებენ სწორადაა გამოყოფილი, მაგრამ ესეს სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, რიგ შემთხვევაში დარღვეულია მონაკვეთების თანამიმდევრულობა, წარმოდგენილი მაგალითები ნაწილობრივ არღვევს ტექსტის მთლიანობას.	1
3.	ესეს სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომში დარღვეულია ტექსტის ლოგიკა და/ან აზუსტებენ სწორად არ არის გამოყოფილი.	0

III კრიტერიუმი

№	პრობლემის გააზრება	ქულები
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, აბიტურიენტის ინფორმირებულობა და ერუდიცია.	3
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული	2

3.	ნაშრომში გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზერელე ცოდნა, არ ჩანს აბიტურიენტის სათანადო ინფორმირებულობა და ერუდიცია.	1
4.	აბიტურიენტი ვერ ერკვევა განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემატიკაში.	0

IV კრიტერიუმი

№	მსჯელობის დასაბუთება	ქულები
1.	მსჯელობა დამაჯერებლად დასაბუთებული და არგუმენტები გამყარებულია	5
2.	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტაცია არასაკმარისია და/ან არ არის გამყარებული შესაფერისი მაგალითებით.	4
2.	მსჯელობა დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტებსა და	3
3.	მსჯელობა ზერელედაა დასაბუთებული და არგუმენტები არადამაჯერებელია.	2
4.	მსჯელობა ძალზე ზოგადია, არგუმენტები და/ან მაგალითები არაადეკვატურია.	1
5.	მსჯელობა დასაბუთებული არ არის.	0

V კრიტერიუმი

№	დამოუკიდებელი აზროვნება	ქულები
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების	2
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნე-	1
3.	ნაშრომში არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების	0

№	VI ფაქტობრივი სიზუსტე	ქულები
1.	ნაშრომში არ არის ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, გვხვდება ორიოდ სტილისტიკური ხარვეზი.	3
2.	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, მთლიანობაში დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება რამდენიმე სტილისტიკური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომის სტილი ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია სტილის ერთგვაროვნება; აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტიკური ხარვეზები.	1
4.	ნაშრომის სტილი მთლიანობაში არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, სტილისტიკური გაუმართავია.	0

VIII კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	ქულები
1.	არ არის დაშვებული ერთზე მეტი შეცდომა.	4
2.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	3
3.	არ არის დაშვებული ოთხზე მეტი შეცდომა.	2
4.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	1
5.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

№	X პუნქტუაცია	ქულები
1.	არ არის დაშვებული სამზე მეტი შეცდომა.	2

2.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	1
3.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

გაითვალისწინეთ!

ნაშრომი, რომლის მოცულობაც 120 სიტყვას არ აღემატება, VII, VIII და IX კრიტერიუმებით არ შეფასდება.

დანართი 4

დისკუსიის 7 ხერხი

დისკუსია კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა, ის ორგანიზებას უკეთებს ღია კითხვების დასმას და პასუხების გაცემის პროცესს, საშუალებას აძლევს მოსწავლეს, უფრო ღრმად განიხილოს შესასწავლი საკითხი. დისკუსიამდე განისაზღვრება სადისკუსიო პრობლემა, კითხვები და პროცედურები. გასათვალისწინებელია მოსწავლეთა მომზადება(მათი ცოდნის დადგენა), წესები და პროცედურები (საკითხის შერჩევა და დისკუსიის დროის განსაზღვრა, სივრცე და წესები), დისკუსიის მართვა (მასწავლებლის როლი ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ჩართვას, ყველას მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალება, არ გადაუხვიონ საკითხს) და მოსალოდნელი შედეგები(საგაკვეთილო მასალის უკეთ გაგება,გამოყენება,ანალიზი შეფასება).მნიშვნელოვანია შეძლოს მოსწავლემ სწავლა სხვების შეხედულებების საფუძველზე, დაეუფლოს საკუთრი თავის რწმენას. მასწავლებელზეა დამოკიდებული მთლიანად, როგორ ჩართავს ყველა მოსწავლეს, მნიშვნელოვანია კითხვის შინაარსი, საუბრის ტონი, ხმის ტემბრი, წარმოთქმის სისწრაფე, თვალით კონტაქტი და ა.შ.

დისკუსია რომ შედეგიანად დასრულდეს და გაკვეთილის მიზნის შესაბამისად იქნეს გამოყენებული, ამისათვის გასათვალისწინებელია არა მარტო მოსწავლეთა საკომუნიკაციო უნარ - ჩვევები და ცოდნის დონე, არამედ დისკუსიის ჩატარების სხვადასხვა ხერხი, რომელიც ამრავალფეროვნებს საკლასო მუშობას. ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში ვიყენებ დისკუსიის შვიდ ხერხს თემატიკის შესაბამისად. ესენია:

ხერხი-1. შეკითხვის დასმის შემდეგ მოსწავლეები შებრუნდებიან გვერდით მჯდომ მოსწავლესთან და გამართავენ დისკუსიას პასუხის მოსაძებნად. დრო -30 წამი.

ამ ხერხით ხდება ყველა მოსწავლე მონაწილე .

ხერხი-2. მოსწავლეები 30 წამის განმავლობაში დამოუკიდებლად ფიქრობენ შეკითხვაზე და ამის შემდეგ იწყებენ წყვილებში დისკუსიას და საბოლოოდ უზიარებენ კლასს მოსაზრებას.

ეს ხერხი მოსახერხებელია, როცა წყვილებში დისკუსიას უკვე კარგად ფლობენ.

ხერხი-3. ეს ხერხი ჰგავს წინა ორს, მაგრამ მოსაზრებების გაზიარების ტექნიკამდე წყვილები იშლებიან, ახალი წყვილები ერთმანეთს უზიარებენ სხვა წყვილებში გამოთქმულ მოსაზრებებს, ამის შემდეგ ხდება მთელ კლასთან აზრთა გაზიარება.

აქ მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ახალ წყვილებში დისკუსიას და განსაზღვროს, არის თუ არა იგი კონსტრუქციული.

ხერხი-4. მასწავლებელი კლასს აცნობს გარკვეულ მოსაზრებებს, მოსწავლეები, რომლებიც ეთანხმებიან მოსაზრებებს, ჯგუფდებიან ერთად, ხოლო მოსწავლეები, რომლებიც არ ეთანხმებიან – ისინიც ერთად. იმართება დისკუსია, მათ უნდა დაასაბუთონ თავიანთი პოზიციები.

ხერხი-5. (ჯიქსო) მასწავლებელი ყოფს დავალებას ნაწილებად, კლასს 3-5 წევრებიან ჯგუფებად და თითოეულ წევრს მხოლოდ დავალების ერთ ნაწილს აძლევს. შემდეგ იქმნება ახალი ჯგუფები იმ წევრებისგან, რომლებსაც ერთი და იმავე დავალების ნაწილი აქვთ მიცემული, ჯგუფში იმართება დისკუსია, განხილვის შემდეგ მოსწავლე უბრუნდება თავის ძველ ჯგუფს.

ამ ხერხის გამოყენებამ დამანახა, რომ ყველა მოსწავლის მიერ მიტანილი იდეები და ინფორმაცია თანაბრად მნიშვნელოვანია დავალების შესასრულებლად, რაც ჯგუფის წევრებს ერთმანეთზე დამოკიდებულს ხდის.

ხერხი-6. მოსწავლეები წინასწარ ამზადებენ საშინაო დავალებას, წერენ მოკლე ანალიზს და დასკვნას მიცემულ საკითხთან დაკავშირებით, კლასში დაბრუნებულები ჯგუფებში განიხილავენ თითოეულს და აფასებენ ნამუშევარს წინასწარ ერთობლივად მომზადებული შეფასების კრიტერიუმებით, თითოეულმა ჯგუფმა უნდა აირჩიოს ერთი დასკვნა, რომელიც მთელი კლასის დისკუსიის საკითი გახდება. ამ მეთოდის გამოყენება მასწავლებლის მხრიდან დიდ ძალისხმევას მოითხოვს მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების კუთხით, ამიტომ მათი დახმარებით წინასწარ მზადდება შეფასების კრიტერიუმები.

ხერხი-7. დისკუსიის საკითხი წინასწარ არის ცნობილი, ინფორმაცია მოძიებულია, შედგენილია დისკუსიის წესები, მასწავლებელი არ ცდილობს მოსწავლეები წაიყვანოს წინასწარ

განსზღვრული პასუხებისაკენ. დისკუსიას იწყებს მასწავლებელი მოტივაციის გამომწვევი კითხვებით, პრობლემით ან მოკლე პრეზენტაციით. მასწავლებელი მხოლოდ მართავს პროცესს და სვამს შეკითხვებს დისკუსიის ეფექტიანობისათვის.

ყველა შემოთაღწერილი დისკუსიის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს დისკუსიის შედეგებს: რას გაართვეს კარგად თავი, რა იყო დისკუსიის სუსტი მხარე და რას გააკეთებენ შემდგომში უკეთესი შედეგების მისაღებად.

დანართი 5 (გაკვეთილის გეგმა)

მასწავლებელი: სოფიკო ცხელიშვილი	
საგანი: ქართული , ისტორია	კლასი X
თემა: გიორგი მერჩულეს „გრ. ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით- საერო და სასულიერო პირთა ურთიერთობის საკითხი(ჯავახეთის საეკლესიო კრება)	45 წუთი
მოსწავლე : 24	
გაკვეთილის ტიპი: ინტეგრირებული გაკვეთილის (ქართული, ისტორია)	
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეს შეუძლია კონკრეტული ტექსტის გაანალიზება ეპოქის გათვალისწინებით. პრობლემის დანახვა და პარალელების გავლება ევროპასთან. საკვანძო საკითხის კვლევა და მსჯელობა.	
<p>კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან</p> <p>ქართ.X.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური თხზულებების წაკითხვა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.</p> <p>შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აკრიტიკებს ან იზიარებს ნაწარმოების პერსონაჟის ან ავტორის შეხედულებებს(მოჰყავს ციტატები ტექსტიდან საკუთარი აზრის ნათელსაყოფად); ➤ მსჯელობს პრობლემაზე , რომელიც დაინახა თხზულებაში; <p>ქართ.X.9. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების გაანალიზება.</p> <p>შედეგი თვალსაჩინოა ,თუ მოსწავლე :</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აკავშირებს მხატვრულ ნაწარმოებს ისტორიულ კონტექსტთან და თანამედროვეობასთან; 	

ისტ. VIII.8. მოსწავლეს შეუძლია ახსნას სახელმწიფოში მმართველობის ფორმისა და პოლიტიკური რეჟიმის ურთიერთკავშირი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ირჩევს რომელიმე ქვეყანას და მის მაგალითზე ჩამოთვლის მიზეზებს, რომლებიც ზაგავლენას ახდენს სახელმწიფო მმართველობის ცვლილებადადობაზე.

გამომუშავებული უნარ- ჩვევები:

პრობლემის გააზრების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარი;
ინფორმაციის ორგანიზების, კლასიფიკაციისა და ვარაუდების გამოთქმის უნარი;
მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის უნარი.

წინარე ცოდნა: მოსწავლეებს შეუძლიათ განიხილონ ნაწარმოები იდეური, მხატვრული და ისტორიული თვალსაზრისით. ისაუბრონ იმ მიზეზებსა და შედეგებზე, რომლებმაც გამოიწვია საეროსა და სასულიერო პირებს შორის ურთიერთობის გამწვავება ან გაუმჯობესება.

შეფასების საგანი და პროცედურები:

ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, დებატები. შეფასების რუბრიკა იხ. ცხრილი 1,2,3

სასწავლო მასალა და ტექნიკური რესურსები: სახელმძღვანელო, სლაიდი, ინტერნეტი, კომპიუტერი, პროექტორი, ფლიპჩარტი, კალამი, მარკერები.

1-ლი ფაზა

საორგანიზაციო საკითხები

აქტივობა -1 გაკვეთილის თემისა და შეფასების კრიტერიუმების გაცნობა-1 წთ.

(ორგანიზების ფორმა- ინდივიდუალური)

აქტივობის მიზანი: კადეტებს გავაცანი გაკვეთილის თემა და მიზანი, დაგეგმილი აქტივობები და შეფასების კრიტერიუმები.

აქტივობის აღწერა: კადეტებს ვაცნობ გაკვეთილის მიზანს, გაკვეთილზე განსახორციელებელ აქტივობებსა და შეფასების სახეებს.

აქტივობა-2 პროვოცირება - აზრობრივი რუკა-3 წთ.

(ორგანიზების ფორმა-ინდივიდუალური)

აქტივობის მიზანი: გავააქტიურე მოსწავლის წინარე ცოდნა

აქტივობის აღწერა: აზრობრივი რუკის გამოყენებით მოსწავლეებს ვთხოვ დაასახელონ პერსონაჟები ტექსტიდან.

მე-2 ფაზა

აქტივობა-3 მინი ლექცია - 7 წთ.

(ორგანიზების ფორმა-ინდივიდუალური)

აქტივობის მიზანი: გავაცანო მოსწავლეებს საქართველოში არსებული პოლიტიკური და რელიგიური მდგომარეობა და გავავლო პარალელები კათოლიკურ ევროპასთან.

აქტივობის აღწერა: ვისაუბრებ IX ს-ში სამხრეთ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე, გრ. ხანძთელის მოღვაწეობის შესახებ, ჯავახეთის საეკლესიო კრების ჩატარების აუცილებლობაზე და შედეგებზე. გავავლებ პარალელებს ევროპის კათოლიკურ სამყაროსთან და ვისაუბრებ იმ მსგავსება- განსხვავებებზე, რაც იყო მართლმადიდებლურ და კათოლიკურ სამყაროში საერო და სასულიერო პირთა დამოკიდებულების საკითხში.

აქტივობა-4 ტექსტზე მუშაობა -5წთ.

(ორგანიზების ფორმა-ინდივიდუალური)

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები გაეცნონ ჯავახეთის საეკლესიო კრებას (ტექსტიდან).

აქტივობის აღწერა: მოსწავლეებს მივუთითებ გვერდს სახელმძღვანელოში. გაეცნონ და წაიკითხონ ტექსტი ინდივიდუალურად.

აქტივობა-5 ჯგუფური მუშაობა-5 წთ.

(ორგანიზების ფორმა-ჯგუფური)

აქტივობის მიზანი: ტექსტში პრობლემური საკითხების კვლევა და ანალიზი.

აქტივობის აღწერა: მოსწავლეები წინასწარ დაყოფილი იქნებიან 4 ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს მიეცემა კონკრეტული დავალება და კითხვები, რომლის საფუძველზე ისინი წარმოადგენენ პრეზენტაციას.

აქტივობა-6 პრეზენტაცია-12 წთ.

(ორგანიზების ფორმა- ინდივიდუალური)

აქტივობის მიზანი: წარმოადგინონ დამუშავებული საკითხები.

აქტივობის აღწერა: თითოეული ჯგუფიდან არჩეული პრეზენტატორები წარმოადგენენ პრეზენტაციებს საკითხის ირგვლივ.

აქტივობა - 7 დისკუსია- 8 წთ.

(ორგანიზების ფორმა- ინდივიდუალური)

აქტივობის მიზანი: საკვანძო საკითხის ირგვლივ დისკუსია.

აქტივობის აღწერა: დავსვამ სადებატო კითხვას, რომლის ირგვლივაც გაიმართება დისკუსია.
კითხვა:

რომელი ხელისუფლება უფრო მაღალა დგას-საერო თუ სასულიერო?

მე-3 ფაზა

აქტივობა-8 შეჯამება - რეფლექსია-3წთ

(ორგანიზების ფორმა- ინდივიდუალური)

აქტივობის მიზანი: გაკვეთილზე მიღებული ცოდნის შეჯამება- რეფლექსია

აქტივობის აღწერა : მოსწავლეებთან ერთად დისკუსიის შემდეგ მასწავლებელი შეაჯამებს გაკვეთილს. მოახდენს უკუკავშირს და გააკეთებს დასკვნას.

აქტივობა-9 შეფასება - 2წთ

(ორგანიზების ფორმა-ინდივიდუალური)

აქტივობის მიზანი: მოსწავლეთა შეფასება განმსაზღვრელი ქულით.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი შეაფასებს მოსწავლეებს რუბრიკების მიხედვით.

აქტივობა -10 საშინაო დავალება-1 წთ

აქტივობის მიზანი: ახალი მასალის განმტკიცება

აქტივობის აღწერა: საშინაო დავალებად მიცემ დაწერონ თემა შემდეგი პუნქტების მიხედვით:

- იმსჯელეთ, ამ მონაკვეთში აღწერილი კონფლიქტის შესახებ (ყურადღება გაამახვილეთ , რა განაპირობებს პერსონაჟთა დაპირისპირებას?)

- იმსჯელოთ, როგორ წარმოგვიდგენს ავტორი გრ. ხანძთელის პიროვნებას.

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	სუსტად	საშუალოდ	კარგად
ჯგუფის წევრები ისმენენ მასწავლებლის ინსტრუქციას და მსჯელობენ საკითხის ირგვლივ			
ჯგუფის წევრები ერთად მუშაობენ დასახული მიზნის მისაწევად და თანაბრად ინაწილებენ ფუნქციებს			
ჯგუფი ამზადებს პრეზენტაციას, სწორად წარმოაჩენენ მთავარ საკითხს			
ჯგუფის წევრები საჭიროების შემთხვევაში იყენებენ თვალსაჩინობას			
პრეზენტაციისას იცავენ დროის ლიმიტს			

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

პასუხობს თემას	1
ფლობს აუდიტორიას (იყენებს მიმიკას, ჟესტიკულაციას, ინტონაციას)	2
საუბრობს გამართული ენით და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას	2

იყენებს განსხვავებულ წყაროებს	2
ადარებს მოვლენებს, ფაქტებს, საგნებს	1
იყენებს თვალსაჩინოებას	1
იცავს დროის ლიმიტს	1

დისკუსიის-დებატის შეფასების რუბრიკა

მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს	2
მსჯელობს არგუმენტირებულად	2
აკეთებს დასკვნებს	2
იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს (თვალით,ჟესტებით, ხმით)	2
კორექტულია ოპონენტის მიმართ, ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს	2

დანართი 6 (პროექტის გეგმა)

1.პროექტის სახელწოდება: „ რუსთაველის კვალდაკვალ“
2.პროექტის ავტორი: სოფიკო ცხელიშვილი

3. პრობლემების ანალიზი:

სულიერების დანახვის შეცნობასა და ზოგადსაკაცობრიო თემამე-10 კლასში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის დროს, უჭირთ ბავშვებს ეპოქის სივრცის აღქმა და რეკონსტრუქცია, არ იციან პოეტის ბიოგრაფია, დამსახურება, ღვაწლი და მისი ნოვატორობა. ეს პრობლემები მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა კარგად უნდა შეიცნონ და დაინახონ როლი რუსთაველისა ქვეყნის წინაშე, როგორც ქართული კულტურის მნიშვნელოვანი წარმომადგენლისა, მოსწავლეებში გაიზრდება ჩართულობის, ადამიანის ღირსების დაფასება, კვლევა-ძიების უნარები, დაეხმარება მათ სინამდვილის ასახვაში, მოქალაქეობრივი აზროვნების უნარების ჩამოყალიბებაში.

4. პროექტის მიზანი:

პრობლემის განსაზღვრის; ინფორმაციის მოძიების; საქმიანობის ორგანიზების; პრობლემის გადაჭრის; ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ- ჩვევები, ისწავლონ სამუზეუმო ექსპონანტების ისტორიულ - კულტურული კონტექსტის დანახვა, შეფასება; დაინახონ კავშირი ეპოქებს შორის და დაეხმაროს მათ თანამედროვე კულტურის გააზრებაში; მიეცეთ სტიმული ახალი შემოქმედებითი იდეებისათვის; ჩამოყალიბდეთ ხმამაღალი კითხვის, აუდიტორიის წინაშე გამოსვლის უნარ-ჩვევები;

5. პროექტის ამოცანები:

1. თვალსაწიერის გაფართოება;
2. ემოციური და ესთეტიკური აღქმის, თანაგანცდის უნარის განვითარება;
3. თავმოყრილი მასალა მოამზადონ პრეზენტაციისათვის;
4. კვლევა -ძიების და წერითი უნარების განვითარება;
5. მუზეუმში ქვეყნის წესების დაუფლება;
6. ხმამაღალი კითხვის და აუდიტორიის წინაშე გამოსვლის უნარების განვითარება;

6. მოსალოდნელი შედეგები:

მოგროვებული მასალების და ექსკურსიაზე ყოფნის შემდეგ გაიღრმავებენ ცოდნას, მიეჩვევიან საქმიანობის ორგანიზებას, პასუხისმგებლობას, კულტურულ ძეგლებთან ურთიერთობას, ესთეტიკურ ტკობას, თანაგანცდას, დახვეწენ წერით და მეტყველების კულტურას, აუდიტორიის წინაშე შეძლებენ პრეზენტაციის გამართვას და თანატოლებთან შთაბეჭდილებების გაზიარებას.

7. მიზნობრივი ჯგუფი: მე-10 კლასი (15-16 წელი).

8. ამოცანების განსახორციელებლად საჭირო საქმიანობები და ვადები

I ამოცანა: შოთა რუსთველის ბიოგრაფიისა და „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ისტორიის შესწავლა(2კვირა)

საქმიანობა: მივუთითე შესაბამისი ლიტერატურა მოსწავლეებს ,რათა გაცნობოდნენ საჭირო მასალას.

II ამოცანა: თვალსაწიერის გაფართოება. ემოციური, ესთეტიკური აღქმის და თნაგანცდის უნარების განვითარება.

საქმიანობა: შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ისტორიის უკეთ გაცნობის მიზნით კლასი წავიყვანე ქუთაისის ხელნაწერთა მუზეუმში. იქ ჩავატარეთ გასვლითი გაკვეთილიც, ბავშვებმა მოკლედ წარადგინეს პოემის სხვადასხვა ხელნაწერთა მოკლე ისტორია. გამყავს ექსკურსიაზე, რათა დაინახონ და შეეხონ (რაც ნებადართულია) სამუზეუმო ექსპონანტებს, კარგად გაითავისონ ეპოქა. (ვადა - 1 დღე)

III ამოცანა: კვლევა -ძიებისა და წერითი უნარების განვითარება (2კვირა).

დავყავი კლასი 4 ჯგუფად:

1. ისტორიკოსთა ჯგუფი(ევალეზათ ეპოქის კულტურულ- პოლიტიკური მიმოხილვა).
2. ეთნოგრაფიული გჯუფი (ევალეზათ მუზეუმის საარქივო მასალების მომიხილვა).
3. ლიტერატორთა ჯგუფი(შექმნან ჩანახატები, ესეები).
4. ფოტოგრაფთა ჯგუფი (იმუშაონ სლად- შოუს მოსამზადებლად, წარადგინონ ფოტო - ვიდეო მასალა პროექტის მუშაობის დაწყებიდან წარდგენამდე) .

დაევალებათ ექსკურსიამდე მოემიებინათ, შეეგროვებინათ მასალები შოთა რუსთაველის ეპოქის, შემოქმედების და ცხოვრებისდროინდელი ეპიზოდებიდან, დაახარისხეს ინფორმაცია ჯგუფისათვის საჭირო მიმართულებით. ასევე, ექსკურსიის დროს აწარმოებდნენ ჩანაწერებს წინასწარ მომზადებულ ცხრილებში.(ვადა - 2 კვირა).

IV ამოცანა: მუზეუმში ქცევის წესების დაუფლება

საქმიანობა: ქცევის წესების შემუშავება კლასთან ერთად.(ვადა -1 დღე).

V ამოცანა: აუდიტორიის წინაშე გამოსვლის და ხმამაღალი კითხვის უნარების განვითარება.

საქმიანობა: წარდგენა. პროექტის პრეზენტაცია , მასწავლებლების და თანატოლების წინაშე, ბავშვები აქტიურობისათვის და ჩართულობისათვის დავაჯილდოვებთ სერტიფიკატებით

დანართი 7

პრეტესტი

1. რატომ უტოვებს ანდერძს მეფეს და როგორ ახასიათებს ეს ავთნდილს?
2. 797სტ.-რატომ ფიქრობს ავთანდილი, რომ მეფე მის გადაწყვეტილებას გაამართლებს?
3. რა ზიანი მოაქვს ადამიანისთვის სიცრუეს და ორპირობას?

4. ვინ არის პლატონი? რას გვეუბნება ეს რუსთველის მსოფლხედველობის შესახებ?
5. 798სტ.-რას მიიჩნევს ავთანდილი ყოველგვარი უბედურების მიზეზად?
6. რა მიაჩნია ავთანდილს ძმობაზე უფრო მტკიცე კავშირად?
7. რა შემთხვევაშია, ავთანდილის აზრით, ცოდნა ფასეული?
8. განმარტეთ მე-4 სტრიქ. და აღნიშნეთ, რა მნიშვნელობას ანიჭებს ცოდნას ავთანდილი?
9. 799 სტრ.- განმარტეთ „ცან, ცნობანი მიაფერენ“.
10. გაიხსენეთ, როგორ თანხვდება მოციქულთა სიბრძნეს ავთანდილის პიროვნული მრწამსი?
11. რა აზრის გამომხატველია სტროფში მოყვანილი შედარება?
12. 800-801სტრ.-რატომ არ ეშინია მას მოსალოდნელი საფრთხის ?
13. რა განწყობის გამომხატველია ამ სტროფის სიტყვები?
14. ამოიწერეთ „მოკვდავის“ შესატყვისი სიტყვა?
15. რისი თქმა სურს ავთანდილს ბოლო სტრიქონის მიხედვით(801-ში)
16. რად მიიჩნევს ავთანდილი თავის გადაწყვეტილებას და საქციელს?
17. (802-803სტრ)რად მიიჩნევდა იგი არაბეთში დარჩენას?
18. ამოიწერე მეტაფორა(802).
19. რატომ არის ამაო მეფის გლოვა, ავთანდილის აზრით?
20. ამოიწერეთ დარდის შესატყვისი სიტყვა და როგორ უნდა შეხვდეს ადამიანი თავს დატეხილ უბედურებას?
21. (815)რას ამცნობდა როსტევანს ავთანდილის წერილი და რას სთხოვს იგი მეფეს?
22. რასთან დაკავშირებით ეუბნება მეფეს სიტყვებს: „არას არგებს, ეშმაკისა საქმეთაგან დაეძლევს“?
23. რა სთხოვა მეფეს ავთანდილმა შერმადინთან დაკავშირებით?
24. (817) ამოიწერეთ და განმარტეთ მეფისადმი დამოკიდებულების გამომხატველი სტრიქონი.
25. იმსჯელე, რას სთხოვს ავთანდილი უფალს როგორც მიჯნური, როგორც რაინდი და როგორც მოგზაური?

დანართი 8

პოსტტესტი

- 1.(804-805)რისთვის არის მზად ავთანდილი?
- 2.რა მიაჩნია მას დიდებად და სახელად?
- 3.რა ელის მის გულს, თუ ის თავის საწადელს აასრულებს?
4. ამოიწერეთ პატივისცემის გამომხატველი სიტყვები.
- 5.რა სასჯელი ელის მას, თუ მიცემულ სიტყვას არ შეასრულებს/
- 6.(806-807) ამოიწერეთ ფრაზა , რომელიც ავთანდილის ცხოვრებისეულ მრწამსს გამოხატავს.
- 7.რატომ უწოდებს ავთანდილი ტარიელს „მზიანს“, ამოიწერე სიტყვა, რომელიც ნიშნავს „სირცხვილიანს“.
- 8.ადამიანის რომელი თვისებები მიაჩნია ავთანდილს უღირს საქციელად?
- 9.რა არის ყოველგვარ მატერიალურ სიმდიდრეზე უფრო ფასეული?
- 10.განმარტეთ, რა მიუჩნევია ავთანდილს უარესად ?
- 11.ვის ადარებს მხდალ ადამიანს ავთანდილი?
12. (808-809) როგორ ახასიათებს სიკვდილს იგი?
13. ამოიწერე ფრაზა, რომელიც გვამცნობს სიკვდილის გარდაუვალობას.
14. რა შემთხვევაშია ფუჭი ადამიანის ცხოვრება?
- 15.რით ამარცხებს სიკვდილს ადამიანი(ავთანდილის აზრით)?
- 16.ამოიწერეთ ანტონიმები.
17. განმარტეთ 809 -ე სტროფის მესამე სტრიქონის აზრი.
- 18.რას ნატრობს იგი თუ ცოცხალი ვერ დაბრუნდება და რა მიუჩნევია უგუნურებად ავთანდილს?
- 19.(810-811) როგორ ახასიათებს წუთისოფელს?
- 20.ამოიწერეთ ეპითეტი, მეფის დასახასიათებელი.
- 21.ავთანდილის რა თვისება ჩანს 811 -ე სტროფში?
22. განმარტეთ, რითი შეეწევიათ გლახაკები ავთანდილს?
- 23.ავთანდილი რითი შეეწევა ადამიანებს სიკვდილის შემდგომაც?
24. რაში უნდა გამოიყენონ ავთანდილის განძის ის ნაწილი, რომელიც მეფის ხაზინას არ გამოადგება?

25.ანდერძის მიხედვით იმსჯელეთ პატრონცემობის შესახებ.

დანართი 9

ა.თვითშეფასების ფორმა ზეპირი მოხსენებისათვის(დისკუსია, პრეზენტაცია..)

მოხსენების შემდეგ გამოიყენე ეს ფორმა. პასუხები დაგეხმარება შენც და შენს მასწავლებელსაც იმაში, რომ დაადგინოთ, რა ისწავლე და რისი გაუმჯობესება გესაჭიროება.

სახელი და გვარი: _____

თარიღი: _____

მოხსენების სათაური: _____

მოხსენების მიზანი: _____

რა გავაკეთე _____

რა ვისწავლე _____

როგორ და რით შემიძლია გავაუმჯობესო ჩემი მოხსენება

მასწავლებლის შენიშვნები

ბ. წერითი ნამუშევრის თვითშეფასება

სახელი, გვარი-----

თარიღი-----

როდესაც ნაშრომს გადავხედე, დავინახე, რომ-----

გავაუმჯობესე-----

ვერ შევძელი-----

ვამაყოფ, რომ-----

უნდა განვამტკიცო-----

შემდგომ წერით დავალემაში შევეცდები, რომ-----

